# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 23 სექტემბერი 1998 №170 (705) ფასი 50 თეთრი


## ჯანაშიას ერთი აკმარეს

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია უეფამ მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ორი გაფრთხილებით გაძევებულ ფეხბურთელს მეტს არც აძლევენ, თუმც არ იყო გამორიცხული, ალბანეთთან შეხვედრის არბიტრს თამაშის ოქმში ჩვენებურის თავგასულობა და უსაქციელობაც ჩაეწერა.

საბედნიეროდ, უეფამ წესს არ უღალატა და ჯანაშიას ათენში დანაშაულის გამოსწორების შანსი ეძლევა.

სასიხარულოა ისიც, რომ დისკვალიფიკაცია ფაქტობრივად ყველას დაუმთავრდა. მხოლოდ მიშა ფოცხვერიაა კიდევ ერთი მატჩით დატუქსული. იტალიელი კოკოს ცემა ხომ ჩვენებურს ოთხი თამაშის გამოტოვებად დაუჯდა.

იმედია, აღარ ვიხულიგნებთ და მუშტების ნაცვლად თავს და ფეხებს ავამუშავებთ.



ნაკრებში დისკვალიფიცირებულ ზაზა ჯანაშიას ლოკომოტივისთვის გააჩვს

## ხვალ ფიფა განსჯის დინამო თუ მრეტები?

ხვალ ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში ღირსსახსოვარი დღეა, ღირსსახსოვარი ქართველებისთვის, თორემ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება და თავის საქმეს აკეთებს კიდეც.

როგორც ადრე გაუწყეთ, სწორედ ფიფას აღმასკომმა უნდა დაასვას საბოლოო ბეჭედი „დინამო“ — „მრეტების“ დაუმთავრებელ დავას.

ხვალ ყველაფერი გაირკვევა, ხვალ ან „მრეტები“ წაიშენს თავში ხელს, ანაც „დინამოს“ აუწევენ ყურებს და ჯიბეზეც გვარიანად გააკრევინებენ ხელს.

არის კიდევ ერთი ვარიანტი, რისიც, სხვათა შორის, ჩვენი ფეხბურთის თავკაცებს ეშინოდათ — საქმის გაჭიანურებისთვის და „მრეტების“ დაჩაგვრისთვის (როგორც ფედერაციის ჩინოვნიკებმა თავად თქვეს) იქნებ ფიფამ სანქციები ქართულ ფეხბურთსაც გამოუწეროს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღმასკომზე პირველად ქართველთა საკითხი უნდა განიხილონ. მომხსენებელი ცენ რუფინენი სხდომას თავის აზრს გაუზიარებს, მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვერდიქტსაც მოისმენენ და...

საბოლოო პასუხი პარასკევს გველოდინება — იმედია, ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო. თუმცა გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, ფიფას კონსერვატიულობა და ჯიუტობაც ყველასთვის ცნობილია.

## შახტიორი კარგ გუნებაზეა აზოტი კი დათმობას არ აპირებს

**დღეს, ჩვენი დროით ათის ნახევარზე, კორაჩის თასის შესარჩევი წრის საპასუხო მატჩში რუსთავის „აზოტი“ დონეცკში იქაურ „შახტიორს“ დაუპირისპირდება**

გუშინ კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ ჩვენს კალათბურთელებს და როგორც იქნა, მათი მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძეც მოვიხელთეთ...

— ეს-ესაა, აქაურმა ტელევიზიამ ჩვენი თბილისური თამაშის ვიდეოჩანაწერი აჩვენა, რამაც უფრო ნათლად დაგვანახა, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ხვალინდელი მატჩი. ვფიქრობ, უფრო სწრაფი თამაში გვმართებს. დაცვაშიც ერთიორად უნდა „მოვუჭიროთ“ მეტოქეს, თუ გვინდა, რაიმე წარმატებას მივაღწიოთ. მოკლედ, დროის სიმცირის მიუხედავად, მაქსიმალურად ვიშრომეთ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და რაც გამოგვივა, ამასაც ვნახავთ.

უკრაინელებმა ჩვენს თამაშს დიდი რეკლამა გაუკეთეს და ალბათ ხვალ 5000-იანი „დრუჟბა“ პირთამდე გაივსება.

გუშინ ჩვენი მეტოქეები დაბრუნდნენ დნეპროპეტროვსკიდან, სადაც უკრაინის პირველობის ორი მატჩი გამართეს, ორივეში გაიმარჯვეს და ჩვენთან შეხვედრამდე მშვენიერი განწყობა შეიქმნეს.

ისე, დონეცკელებს ჩვენთან გამარჯვება არ ეეჭვებათ და ამან შესაძლოა კარგი სამსახური გაგვიწიოს. ჩვენც, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ბიჭებიც სრულ მზადყოფნაში არიან. ეგ არის, ცოტა გოგობერიშვილი გაგვიცივდა და დილის ვარჯიშზე დავასვენეთ. ვფიქრობ, ხვალამდე გამოჯანმრთელდება.

გიორგი ბიძაშვილი

### ჰოლანდია

VI ტური

**ეინდჰოვენი 1:2 ფეიენოორდი**

1:0 ოიერი (14), 1:1 ვან ფოსენი (42), 1:2 კრუზი (47)

### იტალია

თასი. 1/16 ფინალი

საპასუხო მატჩი

რომა — კიევი 2:1, 2:2

### გერმანია

თასი. 1/16 ფინალი

აისბახტალი — ობერჰაუზენი 1:4; არმინია — ვატენშაიდი 2:1; ბერლინი — კიკერსი 4:2; ვერდერი — ჰანზა 3:2; დიუსელდორფი — მიუნხენი 2:1; კაიზერსლაუტერნი — ბოხუმი 1:1, 4:5პ; ლევერკუზენი — ჰერტა 1:1, 3:4პ; შტუტგარტი — აინტრახტი 3:2

### ავსტრია

IX ტური

**ზალცბურგი 1:0 გრაცერი**

### ინგლისი

ლიგის თასი. II წრე

საპასუხო მატჩები

ვულვერჰემპტონი — ბორნმუტი 1:2, 1:1; ტრანმერი — ბლექპული 3:1, 1:2; ქრიუ — ბრისტოლი 2:0, 1:1; კემბრიჯი — შეფილდ უენსდეი 1:1, 1:0; ჩესტერი — სანდერლენდი 0:1, 0:3; ჩესტერფილდი — ლესტერი 1:3, 0:3; გრიმსბი — შეფილდ იუნაიტედი 2:0 (დ.დ), 1:2; ბრედფორდი — ჰალიფაქსი 3:1, 2:1; ჰალი — ბოლტონი 2:3, 1:3; ნოტინგემი — ლეიტონი 0:0, 5:1; ლუტონი — იფსვიჩი 4:2 (დ.დ), 1:2; ბირმინგემი — მაკლსფილდი 6:0, 3:0 ვესტ ჰემი — ნორთჰემპტონი 1:0, 0:2; უიმბლდონი — პორტსმუთი 4:1 (დ.დ), 1:2; ჩარლტონი — ქუინზ პარკი 1:0, 2:0; საუთენდი — ქოვენთრი 0:4, 0:1; უიგანი — ნორვიჩი 2:3, 0:1; უიკომბი — მიდლსბრო 1:1, 0:2

## ასეთ მძლეოსანს სამყარო ალბათ ვეღარ იხილავს



ფლორენს გრიფიტ ჯოინერი. სეულში ტრიუმფის ჟამი

ფლორენს გრიფიტ ჯოინერი... მძლეოსნობის სამყაროში ამ სახელის გაგონებაზე უკლებლივ ყველას, მსოფლიოს ყველა დროის უსწრაფესი ქალის უამრავ კეთილმოსურნესაც და თითო-ოროლა მტერსაც ერთადერთი სურათი წარმოუდგება თვალწინ — იშვიათი აღნაგობის ათლეტი ქალი ხელებაწვდილი პირველი მირბის ფინიშის ხაზთან და მიმზიდველ სახეზე დაფენილი ღიმილით ჰაეროვან კოცნას უგზავნის მორიგი სასწაულებრივი რბენის ხილვით აღფრთოვანებულ ქომაგთ.

სეულის 1988 წლის ოლიმპიადის ტრიუმფატორი მართლაც განუმეორებელი მოვლენა იყო მძლეოსნობაში. ჯოინერმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სხვებისგან საოცრად გამორჩეული სტილითა და გარეგნობით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მილიონობით გულშემატკივრის ხსოვნაში.

ახლა კი ხალხი, ვინც ამერიკელ სპრინტერს თაყვანს სცემდა და თითქმის აღმერთებდა, მხოლოდ ჯოინერის სურათების თვალიერებითა და მისი ცხოვრებისეული მომენტების გახსენებით თუ ინუგეშებს თავს, რადგან...

38 წლის ქალს, მოსიყვარულე მეუღლისა და პატარა გოგონას შემყურე დედას თავი უბედნიერეს ადამიანად რომ მიაჩნდა, მოულოდნელად გულმა უმტყუნა. ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ სპორტულ სამყაროს უძვირფასესი პიროვნება წაართვა — სამაგიეროდ, დაუსრულებელი მითქმა-მოთქმის საბაბი მისცა მათ, ვისაც ჯოინერის სიდიადის არასოდეს სჯეროდა და ვინც ამ მორბენლის ყველა წარმატებას აკრძალული პრეპარატების — უფრო მარტივად კი დოპინგის გამოყენებას მიაწერდა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ასკ — ექსპრესი. გუშინ ექსპრესმა, მოულოდნელად დაამუხრუჭა

## აღარც მქსპრესი...

### საქართველოს ჩემპიონატი

**ასკ 29:25 ექსპრესი**

ასკ: 5 ლ — აბრამიშვილი (3), კაპანაძე, იაშვილი. 2 გ — იოვაძე

ექსპრესი: 3 ლ — კვინიხიძე, კახიანი (2). 2 გ და 2 ს — კვინიხიძე

ეროვნული პირველობის მეორე ეტაპი გარკვეულწილად მოულოდნელობებით დაიწყო, თუმცა ამასაც აქვს ლოგიკური ახსნა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, „გუმარი“ ექვსმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა და ეს უმალ აისახა გუნდის შედეგებზე — ჯერ იყო და „ყოჩებთან“ განადგურდნენ, გუშინ კი ექვსეულის პირველ მატჩში „დათვებთან“ დამარცხდნენ. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა „ექსპრესიც“, იმ განსხვავებით, რომ მობურთალნი უცხოეთში არ გადახვეწილან, უბრალოდ, ოჯახის სარჩენად მუშაობა დაიწყეს და სავარჯიშოდ დრო აღარ ჰყოფნით. ესეც ჩვენი სავალალო ყოფის შედეგი! არადა, იმედი გვქონდა, რომ „ყოჩებს“ „ექსპრესის“ სახით ჩემპიონის ტიტულისთვის ღირსეული მოცილე ეყოლებოდათ, მაგრამ გუშინდელი თამაშის შემყურე ვეჭვობ, ბენდიაშვილის ბიჭებმა რაიმე დააკლონ ჩემპიონს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# ომია? ომი იყოს!

უახლოეს მომავალში უეფაში კიდევ ერთი ქართველის საქმე გაირჩევა.

თურქული „ტრაბზონსფორის“ ფეხბურთელმა გოჩა ჯამარაულმა ბევრი ითმინა, თბილისის „დინამომაც“ არაერთხელ სცადა თურქებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ მოთმინებითა და ტკბილი სიტყვით არაფერი გამოვიდა. „ტრაბზონი“ ჯამარაულს კლუბიდან განთავისუფლების ფურცელს ცოცხალი თავით არ აძლევს, ფულსაც უარობს, ვირზეც შემჯდარა. ფეხბურთელს კი სხვა გუნდში თამაშის უფლება არა აქვს. სანამ თურქები რქებით არიან, არის ჯამარაული უკლუბოდ და ფორმის შესანარჩუნებლად კვლავ მარტო, ისევ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს.

„ტრაბზონმა“ გოჩას უთქმელი ომი გამოუცხადა. ჯამარასაც მოსწყინდა ჩრდილში დგომა და ვნახოთ, ვისი აჯობებსო, შეუთვალა თურქებს. მერე თბილისის „დინამომ“ ჯამარაული ბელგიელ ადვოკატს დააკავშირა. ფეხბურთელმა ყველა საჭირო საბუთი მოაგროვა და ვექილს ჩააბარა, რომელიც დასტას შვეიცარიაში ჩაიტანს უეფაში განსახილველად. ჩვენებს საქმის მოგების იმედი აქვთ, მიაჩნიათ, რომ მართლები არიან.

ამბობენ, „ტრაბზონი“ ჯამარაულს უსამართლოდ ექცეოდა, არც კუთვნილი ხელფასი მოუციათ და ახლაც ამწარებენო. ვნახოთ, უეფა რას იტყვის. სურვილი კი ერთი გვაქვს — ეგებ საქმე მეტად აღარ გაჭიანურდეს, მტყუან-მართალი დროულად გაირკვეს და ჯამარაულსაც მიეცეს კლუბში თამაშის უფლება.

ჩვენი ინფორმაციით, გოჩა ჯამარაულის თავისთან ხილვის სურვილი ვლადიკავკაზის „ალანიას“ მწვრთნელს ვალერი გაზაევს გამოუთქვამს, არის ვარიანტები ფეხბურთელი იტალიაში, ანაც ინგლისში გადაბარგდეს, ჯერჯერობით საშველი არ ჩანს, მისი ბედი უეფაზეა დამოკიდებული. ახალი კლუბის ამბავიც სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება.

თუმცა, ახალი კლუბი კი ვახსენეთ, მაგრამ გამორიცხულია, იგი თბილისის „დინამოში“ დაბრუნდეს. ჩემპიონებს ჯამარაული საერთაშორისო მატჩებში დასახმარებლად სჭირდებოდათ, თორემ ეროვნული ჩემპიონატი რა ბედენაცაა და აქ თამაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს როგორ წაადგება, ეგ ყველას მოეხსენება.

მაშ ცოტაც დავიცადოთ. ფეხბურთელსა და „ტრაბზონს“ შორის ომი დასასრულს უახლოვდება.

**ქობა ინასარიძე**



ბადრი კოთილაძის ფოტო

გოჩა ჯამარაული

# სჯობს გვიან...

ვიდრე არასდროსო, ნათქვამია. თავის დროზე მოსკოვის „სპარტაკის“, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარე რინატ დასაევს, ეტყობა, ეს ბრძნული გამონათქვამი გაახსენდა და დღეს, თავის ყოფილ თანაკლუბელებსა და საბჭოელ მეგობრებს მოსკოვში ეპატიჟება გამოსათხოვარი მატჩის სათამაშოდ. ერთმანეთს „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის 80-იანელთა თაობა დაუპირისპირდება. აბა, ასეთ მატჩს უქართველებოდ რა ეშხი ექნებოდა? ჰოდა, რინატ დასაევმაც თბილისს მოსაწვევი ბარათი აფრინა — სათამაშოდ მეკარემ ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია მიიწვია. უარი გამორიცხული იყო, ჩვენებიც ერთხელაც მოირგებენ ძველ საბჭოურ მაისურს.

# არმიამ შევსება მიიღო

ბოლნისში, „სიონთან“ მატჩის წინ, არსენალელთა რიგებში „ბათუმის“ ყოფილი ფეხბურთელი ზაზა ზირაქიშვილი ვიხილეთ.

როგორც ზაზასთან საუბარში გაირკვა, იგი საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეს არმიელთა რიგებში ჩაამთავრებს.

მანამდე კი ზირაქიშვილი თურქეთში, იქაურ „საქარიასფორში“ ისინჯებოდა. მას რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც მიუღია მონაწილეობა და გოლის გატანაც მოუხერხებია. ზირაქიშვილის თურქეთში ყოფნისას „საქარიასფორს“ მთავარი მწვრთნელი, იუგოსლავიელი ივანჩევიჩი გაუთავისუფლებია. ახალი ხელმძღვანელობა კი ზაზას ფიზიკურ კონდიციებს არ დაუკმაყოფილებია და მისი გუნდში აყვანის საკითხიც მეორე წრის დასაწყისისთვის გადაუდვია.

თავად ფეხბურთელიც იმედოვნებს, რომ არმიელთა რიგებში უკეთ მოემზადება და მეორე წრიდან თურქულ კლუბს შეუერთდება.

იურიდიულად ზირაქიშვილი „ბათუმის“ კუთვნილებას წარმოადგენს. მის ტრანსფერში კი ზღვისპირელები 5000 დოლარს ითხოვენ.

## საქართველოს თასი
### 1/32 ფინალი

ენგური 5:3 ფაზისი
კოლხეთი 2 0:0 იბერია 2
სამეგრელო 2:1 კოლხეთი
მერცხალი 2:2 კოლეჯი
ტორპედო 2 2:1 მარგვეთი
სამგურალი 2 1:1 რიონი
ჟინერი 2:3 საუ
აკადემია 3:2 მრეტები
ალგეთი 2:0 შავნაბადა
ყვარელი 2:0 ჭაბუკიანი
მესხეთი 3:4 ივერია
არსენალი 2 0:0 ქარელი

## 2 ტური — მეორე ჯგუფი

**დასავლეთი, „ა“ ქვეჯგუფი**

18 სექტემბერი

გამოტოვებული მატჩი

**ჩიხურა 1:4 მეშახტე**

1:0 აბულაძე (29), 1:1 ავალიშვილი (58), 1:2 კანკია (63), 1:3 სახელაშვილი (87), 1:4 ჩუბინიძე (89)

გაფრთხილება: ხვედელიძე, აბულაძე, კილურაძე, სახელაშვილი, კანკია, ხელაძე

მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)



# ტორპედომ ჭანტურიას მიუტევა

ქუთაისის „ტორპედოს“ კარს ყოველთვის მაღალი კლასის მეკარეები იცავდნენ, ამ ბოლო დროს კი ქუთათურებმა რატომღაც საიმედო გოლკიპერი მოისაკლისეს.

უშეცდომო მეკარე ვის უნახავს, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. ტორპედოელებს, მათდა სამწუხაროდ, ყოველთვის გადამწყვეტ და პრინციპულ შეხვედრებში დაებედათ კარის დარაჯის სუსტი მოქმედება. გამოსავალი რომ ვერ ნახეს, ორივე მეკარეს რიგრიგობით აყენებდნენ — ხან მამარდაშვილი ითამაშებდა, ხანაც ასლანაძე და მათ მიერ ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობაც მათი საიმედო გარჯის პირდაპირპროპორციული იყო.

მეცხრე ჩემპიონატში ქუთათურებმა ინტერტოტოზე გასვლის უფლება რომ მოიპოვეს, დასახმარებლად წელიწადნახევრიანი კონტრაქტით გორის „დილას“ კარის დარაჯს, გია ჭანტურიას უხმეს. გიამაც „ტორპედოს“ მაისური მოირგო და პირველ ოფიციალურ მატჩში სომხეთის „ერებუნისთან“ შესანიშნავად გაისარჯა.

იმერლებმაც იფიქრეს, საშველი დავგადგაო, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნამ მათ გუნდს და ახალ გოლკიპერსაც განსაცდელი მოუმზადა.

მოდით, ნუღარ გავიხსენებთ იმ ავადმოსაგონარ შეხვედრას, რადგან ჭანტურია ისევ „ტორპედოში“ ბრუნდება და ყველაფრის თავიდან დაწყებას აპირებს.

ბევრს აინტერესებს, რატომ არ ჩანდა გია და რა ბედს ეწია 11 ივლისის მერე.

როგორც თვითონ გვითხრა, მან ამ პერიოდში უზბეკეთში თამაშიც მოასწრო. თემურ მახარაძის ნაცნობების წყალობით ჭანტურია ტაშკენტში აღმოჩნდა და უმაღლესი ლიგის გუნდ „დუსტლიკში“ ორი კალენდარული მატჩიც ჩაატარა. მასთან ერთად ამ კლუბში კიდევ ერთი ქართველი, ყოფილი რკინიგზელი მურად ყაველაშვილი თამაშობდა. უზბეკებს ჭანტურიას დატოვების სურვილიც კი გაუჩნდათ, მაგრამ რატომღაც შეპირებულ თანხის გადახდაზე თავს იკავებდნენ, თანაც იქ სეზონი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. სწორედ ამ მომენტში „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა შეეხმიანა გიას და უკან დაბრუნება სთხოვა. ჭანტურიამ დიდი სიხარულით მიიღო ეს წინადადება და სამშობლოს მოაშურა. იგი მზადაა, ჩვეული ოსტატობით დაიცვას ქუთათურთა გუნდის კარი. ტაშკენტიდან ფაქსის მიღება და მისი განაცხადში შეყვანა უმალ მოხდება.

გიასგან შევიტყვეთ, რომ უზბეკეთში კიდევ ორი ჩვენებური ბურთაობს. ყოფილი ლოკომოტიველი სოსო ერაძე და მორკინალი კახა გოგოლაძე. თუმცა ეს უკანასკნელი თურმე ორი თვით მალაიზიის ერთ-ერთ კლუბში გაუნათხოვრებიათ. დიახ, სწორედ მალაიზიაში. რას არ გაიგებს კაცი. ოჯახის სარჩენად გადახვეწილი ქართველი ფეხბურთელები მალე ალბათ მსოფლიოს ყველა კუთხეს დაიპყრობენ თავისი კუნთულებიანად.

მაშ ასე, „ტორპედო“ სერიოზულად ფიქრობს მიზნის მიღწევაზე და მცველების უკანა პოზიციას კიდევ უფრო ამაგრებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დავით ასლანაძეც ნელ-ნელა შედის ფორმაში, შეიძლება ითქვას — ქუთათურების კარის აღება მოწინააღმდეგეებს ერთობ გაუჭირდებათ. ფეხბურთელებიც უფრო იმედიანად იბურთავებენ, რადგან ხომ გაგიგონიათ, საიმედო მეკარე მთელი გუნდის ნახევარი ძალააო.

**ხვიჩა სანიკიძე**

საქართველოს მეათე ჩემპიონატის შვიდ ტურში 56 მატჩის ნაცვლად სამით ნაკლები ჩატარდა. ვინ გაიტანა (ან ვერ გაიტანა) პენალტი, დუბლი, ჰეთ-თრიქი და რამდენი კაცი შეესწრო ამ სანახაობას, ქვემოთ იხილეთ

**დასწრება**

| გუნდი | ქალაქი | სტადიონი | სულ | საშუალოდ |
|---|---|---|---|---|
| ტორპედო | ქუთაისი | გივი კილაძე | 13 000 | 4 333 |
| ბათუმი | ბათუმი | დინამო | 12 000 | 3 000 |
| ოდიში | ზუგდიდი | ცენტრალური | 8 000 | 2 666 |
| არსენალი | თბილისი | ისანი | 5 500 | 1833 |
| სიონი | ბოლნისი | თემურ სტეფანია | 7 000 | 1750 |
| კოლხეთი | ფოთი | ფაზისი | 6 000 | 1500 |
| დილა | გორი | ცენტრალური | 4 000 | 1333 |
| ვიტ ჯორჯია | მცხეთა | არმაზი | 3 500 | 1 166 |
| იბერია | სამტრედია | ეროსი მანჯგალაძე | 3 500 | 1 166 |
| მერანი | თბილისი | სინათლე | 4 500 | 1 125 |
| სამგურალი | წყალტუბო | 26 მაისი | 3 000 | 1000 |
| გორდა | რუსთავი | ფოლადი | 3 200 | 1066 |
| გურია | ლანჩხუთი | ევგრაფი შევარდნაძე | 2 500 | 833 |
| ლოკომოტივი | მცხეთა | არმაზი | 2 200 | 733 |
| თსუ | მცხეთა | არმაზი | 2 600 | 650 |
| დინამო | თბილისი | ეროვნული | 1 000 | 500 |
| დინამო | თბილისი | შევარდენი | 500 | 500 |
| | | | 81 000 | 1 528 |

**მეგოლეები**

**ჰეთ-თრიქი**

| | | |
|---|---|---|
| სუხიაშვილი | *კოლხეთი* | კოლხეთი — სამგურალი |
| ტულუში | *ბათუმი* | ბათუმი — სამგურალი |

**დუბლი**

| | | |
|---|---|---|
| ალექსიძე | *დინამო* | დინამო — სიონი |
| აშვეთია | *დინამო* | დინამო — მერანი, ოდიში — დინამო |
| გადელია | *ბათუმი* | ბათუმი — გურია |
| დ. გოდერძიშვილი | *ლოკომოტივი* | იბერია — ლოკომოტივი |
| ვ. გოჩაშვილი | *ვიტ ჯორჯია* | ვიტ ჯორჯია — იბერია |
| დავითაშვილი | *მერანი* | სიონი — მერანი |
| იონანიძე | *ტორპედო* | ტორპედო — კოლხეთი, ტორპედო — იბერია |
| კაიდარაშვილი | *დილა* | დილა — სიონი, ვიტ ჯორჯია — დილა |
| კაკაშვილი | *არსენალი* | არსენალი — იბერია |
| დ. მახარაძე | *გურია* | გურია — თსუ |
| მაჭუტაძე | *ბათუმი* | ბათუმი — სამგურალი |
| მელაძე | *გურია* | სიონი — გურია |
| ტულუში | *ბათუმი* | ტორპედო — ბათუმი |
| შაკიაშვილი | *სიონი* | სიონი — გურია |
| გ. შენგელია | *დინამო* | დინამო — სიონი |
| ჩომახიძე | *იბერია* | არსენალი — იბერია |
| ჩუხუა | *გორდა* | გორდა — სიონი |
| წივწივაძე | *კოლხეთი* | კოლხეთი — მერანი |
| ჯაგიდისი | *სიონი* | სიონი — სამგურალი |
| ხომერიკი | *დინამო* | დინამო — არსენალი, დინამო — მერანი, დინამო — სიონი |

**პენალტები**

**გაიტანეს — 17**

| | | |
|---|---|---|
| ამაშუკელი | *იბერია* | ოდიში — იბერია |
| ვ. გოჩაშვილი | *ვიტ ჯორჯია* | ვიტ ჯორჯია — იბერია |
| ენდელაძე | *ოდიში* | ოდიში — დილა |
| იონანიძე | *ტორპედო* | ტორპედო — კოლხეთი, ტორპედო — იბერია |
| კაკაშვილი | *არსენალი* | არსენალი — იბერია |
| მარლიშვილი | *ლოკომოტივი* | ლოკომოტივი — ოდიში, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია |
| სუხიაშვილი 2 | *კოლხეთი* | კოლხეთი — სამგურალი |
| ტულუში | *ბათუმი* | ტორპედო — ბათუმი, ბათუმი — სამგურალი |
| ფაიქიძე | *სამგურალი* | სამგურალი — გორდა, სამგურალი — ოდიში |
| გელა ქორიძე | *მერანი* | მერანი — გორდა |
| ცქიტიშვილი | *დინამო* | დინამო — მერანი, თსუ — დინამო |
| ხუჭუა | *იბერია* | იბერია — ბათუმი |

**ვერ გაიტანეს — 5**

| | | |
|---|---|---|
| კ. ალადაშვილი | *გორდა* | გორდა — დილა |
| გიორგაძე | *გურია* | კოლხეთი — გურია |
| ვ. გოჩაშვილი | *ვიტ ჯორჯია* | ვიტ ჯორჯია — ტორპედო |
| დ. მახარაძე | *გურია* | გურია — ოდიში |
| მელაძე | *გურია* | გურია — ოდიში |

**უდისციპლინონი**

*ოდიში* — გაფრთხილება (14): ლურწკაია (3), ნაყოფია (2), კიპაროიძე (2), ტყემალაძე (2), პ. ლურსმანაშვილი, ჭურღულია, ბარქაია, კ. კვეკვესკირი, ჩადუნელი

*არსენალი* — გაფრთხილება (13): მ. თევზაძე (2), ვ. გველესიანი (2), ყოლბაია(2), ჩლაიძე ფირცხალავა, ლომიძე, ცერცვაძე, დ. კაპანაძე, გემეზაშვილი ხოსროშვილი; გაძევება (1): ვ. გველესიანი

*სამგურალი* — გაფრთხილება (13): გ. თევზაძე (3), თევდორაძე (2), დ. ჭელიძე (2), ფრანგიშვილი (2), კ. ჯანაშია, ი. ხაჭაპურიძე, ლონლაძე, ფაიქიძე

*დილა* — გაფრთხილება (11): თაყაძე (2), კაიდარაშვილი (2), გ. ჩიტაია (2), ხ. გაგნიძე, ციცქიშვილი, ფეზუაშვილი, შატაკიშვილი, ბ. ჩიტაია; გაძევება (1): ციცქიშვილი

*ვიტ ჯორჯია* — გაფრთხილება (11): გ. გვაზავა (2), ზ. მენთეშაშვილი (2), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ვ. გოჩაშვილი, დოლიძე, პეტრიაშვილი ჯ. მუჯირი; გაძევება (1) ზ. მენთეშაშვილი

*ლოკომოტივი* — გაფრთხილება (9): ბალაშვილი (3), გიორგი ქორიძე, ბარნოვი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, დაუშვილი, კვიტატიანი

*იბერია* — გაფრთხილება (8): ხუჭუა (2), ნიკოლეიშვილი (2), მუმლაძე, გეგეშიძე, სადილიანი, ქარასელია

*კოლხეთი* — გაფრთხილება (8): წივწივაძე (2), კაკაჩია, გვასალია, გოროზია, პაპავა, ლალანიძე, ახვლედიანი

*მერანი* — გაფრთხილება (8): ცქიფურიშვილი (2), ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გ. კვეტენაძე, გეწაძე, ბაჯელიძე, დავითნიძე

*სიონი* — გაფრთხილება (8): დ. სვანიძე (2), თ. სამხარაძე (2), გაგუა, პოზოიანი, დ. ჯაფარიძე, გოგოლაძე

*ტორპედო* — გაფრთხილება (7): დ. ჯანაშია (2), პ. ჯინჭარაძე, ყიფიანი, მეგრელაძე, ჩხაიძე, იონანიძე; გაძევება (1): ჩხაბერიძე

*თსუ* — გაფრთხილება (6): გ. ილურიძე (2), ზამთარაძე, ცომაია, ნინუა, როსტიაშვილი; გაძევება (1): გაბელია

*დინამო* — გაფრთხილება (6): ცქიტიშვილი (2), გუჩუა (2), ალექსიძე, დიდავა; გაძევება (1): გუჩუა

*გურია* — გაფრთხილება (6): ინიაშვილი (2), ბულუხია, ზ. კვეკვესკირი, გოგუა, მელაძე

*ბათუმი* — გაფრთხილება (5): რუსია (3), მ. მახარაძე, ტულუში; გაძევება (1): პაპიძე

*გორდა* — გაფრთხილება (5): მჭედლიძე (2), ბურნაძე, კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი
**7 ტური**

# მართლაც საიუბილეო

ზოგმა თქვა, ქართული ფეხბურთი გარდაიცვალაო, ზოგმა კიდევ — სულს ღაფავს და უფსკრულის პირას დგასო.

ჩვენმა ჩემპიონმა საშინაო მატჩში ბილბაოს „ატლეტიკზე“ რომ იმარჯვა, ბევრისგან გაიგონებდით, პოტენცია ხომ გვქონიაო. პოტენცია კი მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს აქვს. ასე რომ, ქართულ ფეხბურთზე თამამად შეიძლება განვაცხადოთ — „არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს“.

მიილია საიუბილეო ჩემპიონატის მეოთხედი და, სიმართლე გითხრათ, მოვლენებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად ბევრი უსახური თამაშისა, მთლიანობაში წლევანდელი სეზონის სტარტი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ეს სატურნირო ცხრილიდანაც კარგად იკითხება. წლეულს მინიმუმ შვიდი გუნდი იბრძოლებს ევროსაგზურისთვის და, რაც მთავარია, „დინამოს“ ჩემპიონობას შემცილებლებიც გამოუჩნდნენ. ამგვარი ინტრიგა კი, დაგვეთანხმებით, ჩვენს ჩემპიონატს კარგა ხანია, არ ღირსებია. შვიდი ამბიციური კლუბი ხუმრობა საქმე არ გახლავთ.



ვიტელი აბაზაძე მომხვდურს ასეც გაუმასპინძლდა

ზემო თქმულიდან თუ ვიმსჯელებთ, ლოგიკას ასეთ დასკვნამდე მივყავართ — ქართული ფეხბურთი ნელ-ნელა გამოდის ღრმა ძილიდან. იქნება თუ არა ეს გამოღვიძება სასტიკი და დაუნდობელი? ჩვენი ყოფიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე იქნებ ირონიულადაც ჩაგვეცინოს, მაგრამ იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

მეშვიდე ტურმა გამოკვეთილი აუტსაიდერები გამოავლინა. ერთ-ერთი მათგანი, ბოლნისის „სიონი“ შინ მასპინძლობდა „არსენალს“ და პირველი ჯგუფის დებიუტანტს ვერაფერი მოუხერხა. ამ დამარცხებიდან ბოლნისელებმა თუ სწორი დასკვნები არ გამოიტანეს და კარდინალურ ცვლილებებს არ მიმართეს, ისინი გავარდნის უდავო ფავორიტები არიან. კორღალიძის შეგირდები კი მომავალში უეჭველად კიდევ მრავალ მეტოქეს გაამწარებენ.

მძიმე დღეები უდგას უნივერსიტეტის გუნდს. გასაგებ მიზეზთა გამო სტუდენტებმა მოსამზადებელი ეტაპი ფაქტობრივად ჩააგდეს და ამანაც დიდი როლი ითამაშა თსუ-ს სავალალო სტარტში. თუმცა გაბელიას შეგირდებს ამ ბოლო დროს არც ფორტუნა სწყალობთ. ასე იყო „სინათლეზე“ და გუშინ მცხეთაში „გორდას“ წინააღმდეგაც. დამატებულ დროში წიტაიშვილს რომ ემარჯვა, უნივერსიტეტელები სეზონში მეორე გამარჯვებას იზეიმებდნენ, მაგრამ... პრობლემებმოზღვავებულ რუსთაველებსაც დიდი გარჯა მოუწევთ, რათა ქალაქს საიუბილეო წელს ზეიმი არ ჩაუმწარონ. ტურის ცენტრალური მატჩი კვირას მცხეთაში გაიმართა. ჯერჯერობით დაუმარცხებელმა „ლოკომოტივმა“ და „ტორპედომ“ აშკარად შედეგზე ითამაშეს. ამიტომაც იყო, რომ არც ისე ლამაზი ფეხბურთის მოწმენი გავხდით. ორივე გუნდი გოლის არგაშვებაზე ფიქრობდა და მინდორზეც ხუთ-ხუთი მცველი გამოიყვანა.

ამ მატჩს თავისებური ელფერი შემატეს ქუთაისელმა ფანებმა, რომლებმაც შარშანდელთან შედარებით ადრე დაიწყეს სტუმრობა. ისინი „ტორპედოს“ საჩემპიონოდ აქეზებენ.

შეხვედრის შემდეგ სკანდალს გადავრჩით — ქუთათურები სამ უკვე ცნობილ მომენტზე დავობდნენ და თავი დროზე რომ არ შეეკავებინათ ტრაგედია დატრიალდებოდა.

მსაჯებმა თავად დაიმსახურეს გულშემატკივართა უნდობლობა, რადგან ასეთი პენალტებიც არაერთხელ დაუნიშნავთ და არც თამაშგარეთა დაფიქსირებისას ფიქრობდნენ ადრე, პასიური იყო იგი, თუ აქტიური.

ამ დღეს უფრო ის გაგვიკვირდა, რომ ფედერაციის არც ერთი ჩინოვნიკი არ ესწრებოდა ტურის ყველაზე მნიშვნელოვან და პრინციპულ თამაშს. სწორედ ამის გამო უჩნდებათ ფანებს ეჭვი. მიდი მერე და მოსთხოვე პასუხი დაქანცულ ფეხბურთის ქომაგს, რომელმაც 200 კილომეტრი გამოიარა და...

აღსანიშნავია ზღვისპირელთა დიდი ანგარიშით გამარჯვებები. ისინი თანდათან გამოდიან კრიზისიდან, ნელნელა იბრუნებენ ძველ პოზიციებს.

ფოთში ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. თუ პირველში ტრანსპორტელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, მეორეში ძალები შემოელიათ და „კოლხეთიც“ იოლად გაუსწორდა მეტოქეს.

„ბათუმი“ — „სამგურალის“ შეხვედრაში აღსანიშნი თემურ ტუღუშის პირველი და ჩემპიონატის მეორე ჰეთტრიკია. თამაში კი, იგი ზღვისპირელებმა პირწმინდად მოიგეს.

„იბერია“ გათამაშების ერთ-ერთი უცნაური გუნდია. მას უპრობლემოდ შეუძლია დიდი ანგარიშით წაგებაც და მოგებაც. წინა ტურში ქუთაისში უსუსურად თამაშის შემდეგ სამტრედიელებმა გურულებზე იყარეს ჯავრი. იმერლების ახალგაზრდა კლუბს მართლაც დიდი პოტენცია აქვს და სანამ ძუკუც მათთან არის, „იბერია“ ყველასთვის უხერხულ მეტოქედ მოგვევლინება.

ლანჩხუთელები კი უფრო შინაურ მატჩებში შეეცდებიან ფონს გასვლას.

გორის „დილამ“ მეტად საჭირო სამი ქულა აართვა კრიზისში მყოფ ვეტერინარებს და კვლავ ლიდერთა მარაქაში იმყოფება. „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. არ არის გამორიცხული, ყოველივეს გუნდის მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე გადაჰყვეს.

ტილბურგიდან მობრუნებულმა საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა ზუგდიდში 4:0 იმარჯვა, თუმცა ეს ანგარიში სრულიად არ მეტყველებს „დინამოს“ იოლ გამარჯვებაზე. ეს ფაქტი მურთაზ ხურცილავამაც დაადასტურა. აი, სოსო ჭედიამ კი მსაჯობაზე უკმაყოფილება გამოთქვა.

მსაჯობას რაც შეეხება, მეშვიდე ტურმაც წინა პლანზე წამოწია ეს პრობლემა და იგი სასწრაფოდ მოგვარებას მოითხოვს, თორემ...

ერთ მატჩში საშუალოდ სამი ბურთი გავიდა, რაც წინა ტურთან შედარებით აშკარად გაუმჯობესებული შედეგია.

აი, ყვითელი ბარათები კი საკმაოდ ბევრჯერ აფრიალეს არბიტრებმა. გაფრთხილება 17-მა ფეხბურთელმა მიიღო. დინამოელმა გუჩუამ კი ორჯერ გამოსტყუა მსაჯს ყვითელი, რის გამოც მინდორიც დაატოვებინეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

---

სამტრედია
19 სექტემბერი
17 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

### იბერია 4:1 გურია

1:0 ხუჭუა (26), 2:0 ვ. გიგიაძე (29), 3:0 ჩომახიძე (58), 3:1 დ. მახარაძე (73პ), 4:1 ივეჩიანი (76)

იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ფხაკაძე 66), ჩომახიძე, ხუჭუა (ბაკურაძე 63), ვ. გიგიაძე (ივეჩიანი 63), დარასელია, ბრეგვაძე

სათადარიგონი: ჩაჩუა, თოდუა, გ. ჭელიძე, გ. ლურსმანაშვილი

გურია: ვარდანიძე, ფაცურია, კაკაჩია (ჩიკვილაძე 46), იობიძე, ი. ბუხრიკიძე (ჩიგოშვილი 46), ლორია, ზ. კვეკვესკირი, დ. მახარაძე, კავთელაძე (პატარაია 59), მელაძე, გ. გიორგაძე

სათადარიგონი: გოგუა, თიბილაშვილი, განევი, კუკულაძე

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

---

ფოთი
19 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
1000 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 3:0 მერანი

1:0 გვასალია (60), 2:0, 3:0 წივწივაძე (67, 76)

კოლხეთი: ქვაჩახია, კალანდაძე (კრასოვსკი 85), ტორჩინავა, ახვლედიანი, პაპავა, ღალანიძე, დ. ნოზაძე (ბაჩილავა 80), სუხიაშვილი, გვასალია (შავგულიძე 86), წივწივაძე, მ. ქობულაძე

სათადარიგონი: ჩემია, ქუტიძე, გიორგობიანი, ჯღამაძე

მერანი: ნაჭყეპია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გ. კვეტენაძე (ბაჯელიძე 67), გელა ქორიძე, ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი

სათადარიგონი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ხარებავა, ივანიშვილი, ჩანადირი, გეწაძე

გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (16), დავითნიძე (36)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

---

ბოლნისი
19 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
1500 (ტევადობა 3 000)

### სიონი 0:1 არსენალი

0:1 მ. მაისურაძე (4)

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი (ქობელაშვილი 77), მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე, ჯაგიდისი, გაგუა (მოსეშვილი 46)

სათადარიგონი: დალაქიშვილი, დ. სვანიძე, დ. ბერიძე, დ. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე

არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, ქიქავა, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, ლომიძე, კორღალიძე (ლაცაბიძე 71), კაკაშვილი (ყოლბაია 72), ტარიელაშვილი (ზირაქიშვილი 87)

სათადარიგონი: აბაშიძე, გ. სულაძე, ყუფარაძე, ამირიძე

გაფრთხილება: ხოსროშვილი (7), თ. სამხარაძე (8), გოგოლაძე (24), ყოლბაია (90)

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); გ. მგელაძე (თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

---

მცხეთა
19 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:2 დილა

0:1, 0:2 კაიდარაშვილი (33, 69), 1:2 გ. გვაზავა (84)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, აბაზაძე, ა. ბოკერია (თ. ბოკერია 27), პეტრიაშვილი 71), ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე (ზ. გვაზავა 58), ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა

სათადარიგონი: გუგუნავა, ლამბაშიძე, ენუქიძე, ვ. ქუთათელაძე

დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, თაყაძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, მოსულიშვილი (ახალკაცი 87), შატაკიშვილი

სათადარიგონი: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, ლ. გოჩაშვილი, გუდურაშვილი, სულთანიშვილი

გაფრთხილება: მუჯირი (63)

მსაჯები: ა. შილაკაძე, ა. ქარქაშაძე, მ. ელიკაშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

---

მცხეთა
20 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1200 (ტევადობა 3 000)

### ლოკომოტივი 1:1 ტორპედო

0:1 კვეტენაძე (70), 1:1 ღუდუშაური (81)

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი (ბაქრაძე 87), არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (გ. ღუდუშაური 52), მარლიშვილი, კ. მელქაძე (გიორგი ქორიძე 65), კვიტატიანი, დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი

სათადარიგონი: დოლაბერიძე, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი

ტორპედო: ასლანაძე, თურმანიძე, ვაშაკიძე, ჩხაიძე, პ. ჯინჭარაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი (მაღლაკელიძე 22), კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 65)

სათადარიგონი: მამარდაშვილი, კ. მეტრეველი, ქებაძე, ჩხაბერიძე

გაფრთხილება: ბალაშვილი (15), იონანიძე (30), კვიტატიანი (58), ჩხაიძე (80)

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი; ე. სილაგავა (სამივე თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

---

ზუგდიდი
20 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
4 500 (ტევადობა 7 500)

### ოდიში 0:4 დინამო

0:1 აშვეთია (44), 0:2 ცქიტიშვილი (74), 0:3 აშვეთია (79), 0:4 შენგელია (88)

ოდიში: ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი (აკობია 85), ჩადუნელი (თოლორაია 79), ბარქაია, კუტალია (მარკოზია 69), თოლორდავა, ენდელაძე

სათადარიგონი: გოგია, იოსავა, ტაბალუა

დინამო: გვარამაძე, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, გუჩუა, კიკნაძე, დ. მუჯირი, ალექსიძე, ცქიტიშვილი (ა. სახვაძე 85), აშვეთია (გ. შენგელია 84), ლ. მელქაძე (კვარაცხელია 69)

სათადარიგონი: სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ბ. შენგელია, ი. მახარაძე

გაფრთხილება: ტყემალაძე (10), კიპაროიძე (18), გუჩუა (33), ჩადუნელი (38), ლურწკაია (88)

გაძევება: გუჩუა (62)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი), ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

---

ბათუმი
21 სექტემბერი
17 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 6:1 სამგურალი

1:0 ტუღუში (29პ), 2:0 მაჭუტაძე (40), 3:0 კანტიძე (52), 4:0, 5:0 ტუღუში (55, 77), 5:1 ფაიქიძე (85), 6:1 მაჭუტაძე (90)

ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, მინდაძე (აფხაზავა 30), სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი (ვერემჩუკი 60), მ. მახარაძე, ლლონტი, თორლაშვილი (რომანაძე 56), ტუღუში, კანტიძე, მაჭუტაძე

სათადარიგონი: მალაყმაძე, გადელია, მაქაცარია, ყულეჯიშვილი

სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, დარსაძე, დ. ჭელიძე, მ. ჯინჭარაძე (ძაგნიძე 69), ი. ხაჭაპურიძე, უგულავა, ჯავახაძე (ზ. ქუთათელაძე 46), თევდორაძე (ფაიქიძე 41), კ. ჯანაშია

სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, ლონლაძე, ფილიპაშვილი

გაფრთხილება: ფრანგიშვილი (21), თევზაძე (27)

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

---

მცხეთა
21 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:0 გორდა

თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, ვ. ღუდუშაური, კ. სვანიძე, ცომაია, კაკუბავა, ებრალიძე (ბახტაძე 71), წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი

სათადარიგონი: გაბელია, ინწკირველი, ო. სულაძე

გორდა: მ. ქორიძე, ხუჯაძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე (ჩოხელი 36), ჩუხუა, კ. ალადაშვილი

სათადარიგონი: ბედიაშვილი, ლ. ალადაშვილი, მჭედლიძე, შ. კაპანაძე, ბიჭიაშვილი

გაფრთხილება: ტარტარაშვილი (80)

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი), ზ. მენთეშაშვილი, ზ. დოლიძე; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: გ. გვანცელაძე

---

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 7 - | ხომერიკი | დინამო |
| 6 - | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 5 - | კაიდარაშვილი | დილა |
| | ტუღუში | ბათუმი |
| | წივწივაძე | კოლხეთი |
| 4 - | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

---

**სიმბოლური ნაკრები**

ალეკო კაიდარაშვილი — დილა
მიხეილ აშვეთია — დინამო
ლევან ცქიტიშვილი — დინამო
თემურ ტუღუში — ბათუმი
დავით ნოზაძე — კოლხეთი
შოთა ჩომახიძე — იბერია
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
პაატა ბარნოვი — ლოკომოტივი
ვახტანგ თურმანიძე — ტორპედო
გია ფირცხალავა — არსენალი
მამუკა ქორიძე — გორდა

გუნდი დილა
მწვრთნელი თემურ მახარაძე ლოკომოტივი

---

| № | # | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 2 | 5 | 5 | 0 | 0 | 25:4 | +21 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 18:3 | +15 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | +6 | 6 |
| 2 ტორპედო (4) | 1 | 6 | 4 | 2 | 0 | 18:7 | +11 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 12:4 | +8 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | +3 | 7 |
| 3 დილა (9) | 4 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | +3 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | +2 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 7 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 3 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | +5 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | +4 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | +1 | 6 |
| 5 იბერია (დ) | 5 | 7 | 4 | 0 | 3 | 16:15 | +1 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | +4 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | -3 | 6 |
| 6 ბათუმი (2) | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 16:9 | +7 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 11:3 | +8 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 7 კოლხეთი (3) | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | +3 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | +8 | 10 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 |
| 8 მერანი (7) | 6 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:10 | -3 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | +1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | -4 | 3 |
| 9 არსენალი (დ) | 13 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:10 | -5 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 7 |
| 10 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:8 | -1 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | +1 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 4 |
| 11 გურია (14) | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:15 | -7 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | +3 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | -10 | 1 |
| 12 სამგურალი (12) | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:15 | -10 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | +1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:14 | -11 | 1 |
| 13 ოდიში (5) | 12 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 14 გორდა (11) | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | +1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 |
| 15 თსუ (8) | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 16 სიონი (13) | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 9:20 | -11 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:13 | -11 | 0 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

# ბრწყინვალე შვიდეული

რუმინეთის ფეხბურთში საოცარი ამბები დატრიალდა — პოლიციელებმა ფეხბურთელებს იარაღი აღმოუჩინეს.

რამდენიმე ხნის წინ, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში შავი ზღვისპირა ქალაქ კონსტანცაში მასპინძელთა გუნდი დედაქალაქის „ნაციონალმა" დაამარცხა. მატჩი ახალი დასრულებული გახლდათ, ბუქარესტელი ფეხბურთელის, გასახდელიდან ავტობუსისკენ რომ მიემართებოდა, კონსტანცელი ქომაგი მივარდა და ცემა დაუწყო. დაბნეულმა სტელიან კარაბასმა უცბად ვერაფერი მოისაზრა, მაგრამ მისმა თანაკლუბელმა გეორგე ბუტიუმ ავისმქნელს უმალ პისტოლეტი დაადო შუბლზე. სამართალდამცავებმა ბუტიუ დროებით დააკავეს, თუმცა იარაღის უკანონო ტარებაში ვერ ამხილეს და გაათავისუფლეს.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეს რომ შეიტყო, განზე გადგომა ამჯობინა.

— იარაღის ტარება ადამიანის უფლებაა და ამას ვერავინ ვერავის დაუშლის. ჩვენი ორგანიზაცია საქმის განხილვაში არ ჩაებმება. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის აზრით, თუ ფეხბურთელს მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღით სიარული საჭიროა, მაშინ უნდა ატაროს — რუმინეთის ფეხბურთის მმართველი ორგანოს გენერალურმა მდივანმა ადალბერტ კასაიმ ზემოთქმული სწორედ კონსტანცაში მომხდარი ამბის შემდეგ განაცხადა.

როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ბუტიუს შემთხვევა პირველი არ ყოფილა. მოვლენებმა თანდათან ცხადყო, რომ ქვეყნის წამყვანი კლუბების — ბუქარესტის „დინამოს" და „სტიაუას" თითქმის ყველა ფეხბურთელი თავდაცვის მიზნით იარაღს ატარებს.

ბუქარესტის „ნაციონალის" მეკარემ კრისტიან მუნტიანუმ ერთი თვის წინ 500 დოლარად ბრაუნინგის ტიპის პისტოლეტი შეიძინა. მანამდე ცოტა ხნით ადრე ქუჩაში მიმავალ მუნტიანუს მეტოქე გუნდის ქომაგები დაესხნენ თავს და გაძარცვეს.

პიტეშტის „არჯეშის" თავდამსხმელმა იონ ბუჩურესკუმ შარშან ოჯახზე თავდასხმის შემდეგ სამი თოფი შეიძინა და განაცხადა, ამის შემდეგ ბოროტმოქმედები ჩემი ოჯახის ხელყოფას ვეღარ გაბედავენო.

ბუქარესტის „დინამოს" თავდამსხმელმა იონ ვლადოიუმ, მას შემდეგ, რაც ორი თვის წინ სახლი გაუძარცვეს, რამდენიმე თოფი და ავტომატი (!) შეიძინა, თან სამი ძაღლიც იყიდა.

ვაიგულშემატკივართაგან დაშინებული ფეხბურთელების სია რომ გავაგრძელოთ, შორს წავალთ. შეიარაღებულ ფეხბურთელთა რაოდენობა ხომ კიდევ უფრო გრძელია. ერთი სიტყვით, რუმინეთში ძალიან დიდი არეულობაა, ქომაგთა თავდასხმისგან არავინაა დაცული. ბოროტმოქმედები ისეთ საქმეებს სჩადიან, ხანდახან სიკვდილი არც ისე შორსაა...

— ერთხელ, ზუსტად არ მახსოვს, რომელი თამაშის შემდეგ, გულშემატკივართა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი სახლში მივარდებოდა. საბედნიეროდ, ოჯახში ბაბუისგან დატოვებული დამბაჩა აღმომაჩნდა და ერთი ორჯერ ჰაერში გავისროლე. თავდამსხმელები მხოლოდ ამის შემდეგ მიმოიფანტნენ. მეორე დილით ოჯახის „არსენალი" კიდევ უფრო გავამდიდრე — „სტიაუას" მწვრთნელი მიხაილ სტოიჩიტა ამ ამბავს სიცილით ჰყვებოდა, თუმც სახუმარო რომ არაფერია ამაში, ცხადია.

— ბუქარესტში რომ ჩავედი, თავი გასული საუკუნის ტეხასში მეგონა. საკმაოდ ხშირად ვხედავდი შეიარაღებულ ფეხბურთელებს და მიკვირდა მათი, თუმცა ერთმა შემთხვევამ დამარწმუნა, რომ სწორად იქცეოდნენ. ერთ-ერთი მარცხის შემდეგ, საღამოს შინ რომ ვიყავი, დაახლოებით ათამდე გულშემატკივარმა ქვებით ფანჯრები ჩამილეწა, კარებს კი ნაჯახით ამტვრევდნენ. პოლიცია დროზე მოვიდა, თუ ცოცხალი დავრჩებოდი, არ მეგონა. ამის მერე ორი თოფი სახლისთვის ვიყიდე, ერთი პისტოლეტი კი მუდამ თან მაქვს — დედაქალაქის „რაპიდის" მეკარე ბოგდან ლობონტს ზემოთქმული ნახევარი წლის წინ შეემთხვა.

ხდება ხოლმე მარცხით გაგულისებული ქომაგები ცდილობენ ჯავრი საყვარელი კლუბის ფეხბურთელებზე იყარონ, თუმც მოთამაშეზე თავდასხმა ფულის გამოძალვის მიზნითაც ხდება. პრიმერა დივიზიონის კლუბ „ესპანიოლში" მოთამაშე კონსტანტინ გალჩას რამდენიმე თვის წინ სამმა უცნობმა გვარიანი თანხა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლეს გამოგასალმებთო. ფეხბურთელმა განაცხადა. ყაჩაღებიც მხოლოდ სატელეფონო ზარებით დაკმაყოფილდნენ. მას მერე აღარ გამოჩენილან.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რუმინეთის ფეხბურთში საშინელება ტრიალებს. რამდენიმე ხნის წინ, სანამ ფეხბურთელთა შეიარაღების პრობლემა მეტად აქტუალური გახდებოდა, ხალხი გულშემატკივართა ალვირახსნილობაზე ნაღვლობდა. მატჩების ჩაშლა, გუნდებზე თუ ცალკეულ ფეხბურთელებზე თავდასხმა ხომ ლამის ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულიყო. ხალხი ამას შეეჩვია, ახლა ცეცხლსასროლი იარაღის ტარებასაც ბუნებრივად აღიქვამს.

**ირაკლი ილაშვილი**



21 სექტემბერს მთელი ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლუის ნაზარიო დე ლიმა, უბრალოდ რონალდო 22 წლის გახდა. ეს თარიღი „ინტერის" ბრაზილიელმა ფორვარდმა მეტად მოკრძალებულად, მილანის ერთ-ერთ პაბში აღნიშნა. ბუნებრივია რონალდოს ბევრი სტუმარი ეწვია და ყველამ ერთად კარგად მიილხინა. ამ სურათზე სწორედ 21 სექტემბრის „ფართის" მომენტია აღბეჭდილი — მარჯვენა წყვილი ალბათ იცანით — იუბილარს მისი საცოლე სუზან ვერნერი ულოცავს, მარცხნივ რომ დანაბოღერებული კაცი დგას რონალდოს თანამემამულე, თანაგუნდელი და მეგობარი ზე ელიასია, ხოლო გვერდს მას სუზანზე არანაკლებ მომხიბვლელი მეუღლე უმშვენებს. სხვათა შორის, ზეგ ზე ელიასიც 22 წლის ხდება და ალბათ, ისინი კვლავ შეიკრიბებიან.

# დღეს კამაჩოს დებიუტია

დღეს ესპანეთის ეროვნული გუნდი ახალი თავკაცის, ხოსე ანტონიო კამაჩოს ხელმძღვანელობით პირველ შეხვედრას გამართავს — ამხანაგურად რუსებს დაუპირისპირდება. ბუნებრივია, ამ მატჩს მისთვის, ისევე როგორც მთელი გუნდისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ბოლო ხანებში ესპანელებმა თავიანთ გულშემატკივრებს ორჯერ ატკინეს გული — ჯერ როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეჯგუფიდან ვერ გააღწიეს, ხოლო შემდეგ კვიპროსის სუსტ გუნდთან სამარცხვინოდ წაგებისას. ასე რომ, ესპანეთის ნაკრებმა ქომაგთა თვალში დღეს ერთგვარი რეაბილიტაცია უნდა მოახდინოს.

დღემდე ესპანელები გრანადაში იყვნენ დაბანაკებულნი და კამაჩოს მითითებებს იქ ისმენდნენ. შეკრებებს უამრავი ჟურნალისტი ესწრებოდა საინტერესო ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „რეალის" ყოფილ დამცველს დასამალი არაფერი ჰქონია: „ის, რომ ეს მატჩი ამხანაგურია, პირადად ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ყოველი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა, ეს გუნდის ყველა ფეხბურთელმა კარგად გაითავისოს — მე უკვე ვუთხარი მათ, რომ ძირითადში ადგილი არავის აქვს დაჯავშნული, თითოეულ მათგანს კარგად დავაკვირდები და სასტარტო შემადგენლობას შემდეგ შევადგენ. მოკლედ, ამ შეკრებაზეც და საერთოდ მომავალში, დიდი ოფლისღვრა მოგვიწევს, რათა დასახული მიზნები რეალობად ვაქციოთ."

კამაჩოს მოსვლის შემდეგ ნაკრებში ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა — „მალიორკას" მცველი ვისენტე ენგონგა და „ესპანიოლის" მეკარე ტონი ხიმენესი. პრესასთან საუბრისას ორივემ აღნიშნა, ძლიერ გვიხარია ქვეყნის პირველ გუნდში რომ გამოგვიძახეს და ვეცდებით, ჩვენზე დამყარებული იმედები გავამართლოთო.

რუსებთან შეხვედრაში მოედანზე ვერ ვიხილავთ ძირითადის ორ ფეხბურთელს — ალფონსო პერესსა და მიგელ ანხელ ნადალს, რომლებსაც ტრავმები აწუხებთ. კამაჩომ ჟურნალისტებს ისიც უთხრა, კლემენტეს დროს ფერნანდო იერო დაცვის წინ რომ თამაშობდა, ახლა უკან დაიხევს და დაცვით ხაზს უფრო დაეხმარებაო. სხვა მხრივ, ესპანელთა ბანაკში სიმშვიდეა, ფეხბურთელებიც ჯანზე არიან და დღევანდელი მატჩისთვის გულისყურით ემზადებიან. ისე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის ნაკრების ექვსი ფეხბურთელი: ონოპკო, ბესჩასნიხი, მოსტოვოი, კარპინი, რადიმოვი და ჩერიშევი სწორედ ესპანეთში თამაშობს და იქაური ფეხბურთის ავან-ჩავანი მშვენივრად უწყიან.

**დავით ძოწენიძე**

# ძმადნაფიცობა

ტურინის „იუვენტუსმა" და ლონდონის „ვესტ ჰემმა" შეიძლება თავისებური „თანამეგობრობა" შექმნან. ეს ცნობა „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა ჰარი რედნეპმა გაავრცელა. მან განაცხადა, რომ საკითხს კლუბის თავმჯდომარესთან განიხილავს და შეეცდება მას დაუმტკიცოს, რომ იტალიის ჩემპიონთან თანამშრომლობა ფრიად სასარგებლო იქნება.

საზოგადოებრიობისთვის ცნობილია შესაძლო თანამშრომლობის მხოლოდ ერთი ასპექტი: ლონდონელები „იუვენტუსისგან" ფეხბურთელებს ითხოვებენ.

გაჩნდა ეჭვი, რომ გარიგებამ „ვესტ ჰემი" შესაძლოა, ტურინელების ფარმკლუბად თუ არა, რაღაც ამდაგვარად აქციოს, მაგრამ რედნეპმა ეს აზრი კატეგორიულად უარყო.

## შვედეთი

მე-20 ტური. ჰამარბიუ — ნიორჩოპინგი 3:2, გიოტებორგი — ტრელებორგი 1:0, ფროლუნდა — ჰელსინგბორგი 0:0, ოსტერი — ორგრიტე 0:1, მალმიო — აიკი 0:0, ჰალმშტადი — ელფსბორგი 0:3, ერებრუ — ჰაკენი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბიუ | 20 | 10 | 7 | 3 | 33:25 | 37 |
| აიკი | 20 | 8 | 10 | 2 | 18:12 | 34 |
| ერებრუ | 20 | 9 | 6 | 5 | 30:24 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 8 | 8 | 4 | 32:22 | 32 |
| ჰალმშტადი | 20 | 10 | 2 | 8 | 35:36 | 32 |
| ფროლუნდა | 20 | 8 | 7 | 5 | 24:24 | 31 |
| ნიორჩოპინგი | 20 | 7 | 7 | 6 | 35:29 | 28 |
| ელფსბორგი | 20 | 7 | 5 | 8 | 28:25 | 26 |
| ტრელებორგი | 20 | 7 | 5 | 8 | 22:26 | 26 |
| გიოტებორგი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:24 | 24 |
| ორგრიტე | 20 | 5 | 6 | 9 | 27:27 | 21 |
| ჰაკენი | 20 | 5 | 6 | 9 | 22:34 | 21 |
| მალმიო | 20 | 5 | 4 | 11 | 26:27 | 19 |
| ოსტერი | 20 | 3 | 5 | 12 | 21:36 | 14 |




სარბიელის არქივიდან

# ვინ უშვერს თავს 79 კილოგრამს?

ფეხბურთელები ტვინის დაზიანების საფრთხის წინაშე დგანან. ასეთია ექსპერტთა დასკვნა, რომელიც ამ კვირაში გამოქვეყნდა.

„მოთამაშეთა გონებრივი მდგომარეობა მუდმივად უარესდება და თან ეს პროცესი ბევრი ადამიანისთვის შეუმჩნევლად მიმდინარეობს" — ბრძანა ლოს ანჯელესის „კალიფორნიის უნივერსიტეტის" პროფესორმა ბერი ჯორდანმა. მანვე დასძინა:

„ამ ტიპის ტვინის მრავალმხრივი პერმანენტული, ანუ ქრონიკული ტრავმა შესაძლოა ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს".

ჯორდანისა და მისი ჯგუფის გამოკვლევის შედეგები ჟურნალ „ნევროლოგიაში" გამოქვეყნდა.

შესწავლის ობიექტად ამერიკელ პროფესორს 53 ჰოლანდიელი პროფესიონალი ფეხბურთელი აუყვანია და ანალიზი მათი ოცდაშვიდ, ასევე ჰოლანდიელ მოცურავესთან და მძლეოსანთან შედარების გზით ჩაუტარებია.

„შედეგად მივიღეთ, რომ ფეხბურთელებს უფრო დაქვეითებული აქვთ მეხსიერება, უჭირთ დაგეგმვა და მიხვედრილობა აკლიათ" — განაცხადა მეცნიერმა.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ თავდამსხმელებსა და მცველებს, რომელთაც ბურთისთვის თავის მირტყმა უფრო ხშირად უწევთ, გონებრივი ჩამორჩენა მეკარეებსა და ნახევარმცველებზე მეტად შეენიშნებათ. ჯორდანი ასკვნის, რომ მენტალური სისუსტე პირდაპირაა დაკავშირებული თამაშის დროს მიღებულ მცირე შერყევებსა და თავურების რაოდენობასთან.

დადგენილია რომ მთელი ძალით დარტყმული ფეხბურთის ბურთისთვის თავის შეშვერა იგივეა, რაც 79 კილოგრამის მოხვედრა, პროფესიონალებს კი ასეთი რამ სეზონის განმავლობაში თურმე 800-ჯერ უწევთ.

კალიფორნიელი პროფესორის მიერ ჩატარებული ძიების განმავლობაში ექსპერიმენტის მონაწილე ფეხბურთელთა 54 პროცენტს სულ მცირე ერთხელ მაინც შეერყა ტვინი, 79-მა პროცენტმა კი სულ მცირე ერთხელ მიარტყა თავი მთელი ძალით მოწინააღმდეგის თავს.

ჯორდანი ამბობს, რომ ეს გამოკითხვა პროფესიულ ფეხბურთს შეეხო და მიღებული შედეგები სამოყვარულო და გამაჯანსაღებელ დონეზე ვერ გავრცელდება, თუმცა სპორტის ამ სახეობას გარკვეული რისკი რომ სდევს, უეჭველია.

„არავის მოვუწოდებ თამაშისთვის თავის დანებებას, მაგრამ თუ ფეხბურთელი ტვინის შერყევას მიიღებს, ექიმებმა და მწვრთნელებმა თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტრავმა ძალიან სერიოზულად უნდა აღიქვან" — განაცხადა პროფესორმა ჯორდანმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

მას შემდეგ, რაც გლაზგოს „სელტიკმა“ შოტლანდიის ჩემპიონატის მე-5 ტურში შინ „კილმარნოკთან“ ფრედ 1:1 ითამაშა, გუნდის 300-მდე გააფრთებულმა ფანმა კლუბის ხელმძღვანელობისგან ახსნა მოითხოვა — ასეთი უსუსური ბურთაობის შემხედვარე ახალ ფეხბურთელებს რატომ

### ვენგლოშის პირველი შენაძენი

არ ყიდულობთ, ხომ ხედავთ, „რეინჯერსმა“ ამ საქმისთვის უკვე 30 მილიონი გირვანქა გაიღოო. მართლაც, თითქმის 10 თვეა, ქვეყნის ჩემპიონები ერთი და იგივე შემადგენლობით ასპარეზობენ, ცვლილება მხოლოდ გუნდის სათავეში მოხდა — ივლისში გლაზგოელებს ახალი მწვრთნელი, სლოვაკი სპეციალისტი იოჟეფ ვენგლოში დაუნიშნეს. და აი, „სელტიკში“ ახალწვეულიც გამოჩნდა — გუშინ შოტლანდიელებთან ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ნორვეგიის ნაკრების ნახევარმცველმა ვიდარ რისეტმა, რომელიც მანამდე ავსტრიული LASK-ის ღირსებას იცავდა. საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ ეს სატრანსფერო გარიგება შოტლანდიის ჩემპიონს 1,5 მილიონი გირვანქა (2,5 მილიონი დოლარი) დაუჯდა.

## პორტუგალია

### IV ტურის ბოლო მატჩები

**ფარენსე 1:0 ბენფიკა**

1:0 ჰასან ნადერი (89)

**გიმარაეში 5:1 ბრაგა**

1:0, 2:0 ჟილმარი (18,19), 3:0 ვიტორ პანეირა (47), 4:0 სოდერსტრიომი (66), 5:0 ჟილმარი (77პ), 5:1 სოუზა (89ს.კ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:1 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| სალგეიროში | 4 | 2 | 2 | 0 | 10:7 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| შავეში | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ლეირია | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ბრაგა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| ამადორა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| კამპომაიორ. | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| გიმარაეში | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 4 |
| ბეირა მარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| რიუ ავე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ალვერკა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| ფარენსე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| სეტუბალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |
| მარიტიმუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |

# შტეფან ეფენბერგი: ფოგტსი რომ ყოფილიყო, მაინც წავიდოდი

1994 წელს ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გულშემატკივრებისთვის აწეული შუა თითი შტეფან ეფენბერგს ძვირად დაუჯდა — გერმანიის ნაკრების იმჟამინდელმა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა ფეხბურთელი გუნდიდან სამუდამოდ მოკვეთა. ნახევარმცველის შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, მწვრთნელმა ოთხი წლის განმავლობაში სიტყვა არ გატეხა და ეფენბერგი ნაკრებში არ მიიწვია, მაგრამ ტყუილად არ უთქვამთ წინაპართ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტად გამოსვლისა და თავს დატეხილი კრიტიკის შემდეგ ფოგტსმა ადრინდელი გადაწყვეტილება შეცვალა და 30 წლის ფეხბურთელი ნაკრებში დააბრუნა. თუმცა ფოგტსს, რომელსაც წყალი მანამდეც ჰქონდა შეყენებული, ვეღარც ეფენბერგმა უშველა, 5 სექტემბერს რუმინეთთან ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ თანამდებობა დაატოვებინეს. იმ მატჩში ქომაგების ყურადღება კიდევ ერთმა, არანაკლებ მნიშვნელოვანმა ფაქტმა მიიქცია — მთელი შეხვედრის მანძილზე ეფენბერგი აშკარად უგულოდ და უემოციოდ თამაშობდა. იმ მატჩიდან 17 დღის შემდეგ კი ფეხბურთელმა განაცხადა, ამიერიდან ეროვნული გუნდის ღირსებას აღარ დავიცავო, რითაც გულშემატკივრებიცა და ფოგტსის მემკვიდრე ერიხ რიბეკიც საგონებელში ჩააგდო.

„ძალიან სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. ეფენბერგი დიდი ძალა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, ძლიერ გუნდს შევკრავ. მან გადაწყვეტილება თავად მიიღო და ვერ ვაიძულებ, შეცვალოს“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა ფეხბურთელის მიერ გადადგმულ ნაბიჯს რიბეკმა. ეფენბერგის წასვლამ მწვრთნელს გვარიანად აურია გეგმები. მას ცენტრალური ადგილი უნდა დაეკავებინა გუნდში ლოთარ მათეუსთან და ოლივერ ბირჰოფთან ერთად. ახლა მისი შემცვლელის მოსაძებნად რიბეკს დიდი შრომა მოუწევს. „მე ახლა კლასიკური მეათე ნომერი მჭირდება, ისეთი, რომელიც ეფენბერგს სრულფასოვნად შეცვლის. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მაქვს, შეიძლება ითქვას, ცაიტნოტში ვარ“ — განაცხადა რიბეკმა, რომელიც ღირსეული კანდიდატების ძებნას გუშინვე შეუდგა. სამშაბათს იგი „ლევერკუზენი“ — „ჰერტას“ სათასო მატჩს უნდა დასწრებოდა, რათა ლევერკუზენელი შტეფან ბაინლიხი და ბერლინელი დარიუს ვოში საქმეში ეხილა.

„ფაქტია, რომ არც თუ დიდი არჩევანი მაქვს, თომას ჰესლერი და ანდრეას მიოლერი აშკარად ვერ არიან სათანადო ფორმაში. მართალია, ვოშს გარკვეულ სიტუაციებში ძალუძს ეფენბერგის მსგავსად ითამაშოს, მაგრამ თავიდან მისი სრულფასოვანი შეცვლა ალბათ გაუჭირდება“ — ეს სიტყვებიც ბუნდესნაკრების ამჟამინდელ თავკაცს ეკუთვნის.

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა“ ფრანც ბეკენბაუერმა ეფენბერგის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა, ამის დაჯერება არ მსურს და გამიხარდება, თუ „ეფე“ აზრს შეიცვლისო.

გერმანელებს ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო მატჩი 10 ოქტომბერს თურქეთში ელით. თამაშამდე სულ 18 დღე დარჩა და „ეფეს“ (როგორც მას გერმანელები სიყვარულით ეძახიან) შემცვლელიც მანამდე უნდა გამოინახოს.

ბოლოს კი გვინდა შემოგთავაზოთ ინტერვიუ, რომელიც ფეხბურთელმა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პოპულარულ გერმანულ ჟურნალ „კიკერს“ მისცა:

**— რატომ გადადგით ეს ნაბიჯი?**

— საამისოდ ბევრი მიზეზი დამიგროვდა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაბი პირადულიცაა. კერძოდ, ძალან ცოტა დრო მრჩება ოჯახისთვის და არ მინდა ის დროც დავკარგო. ჩემთვის ოჯახი უმნიშვნელოვანესია. გარდა ამისა, შევამჩნიე, რომ რატომღაც „ბაიერნს“ უფრო მეტ უპირატესობას ვანიჭებ, ვიდრე ნაკრებს. ვიცი, ბევრი ჩემს ნაბიჯს არასწორად გაიგებს და გამამტყუნებს, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა და სხვისი აზრი ამასთან დაკავშირებით არ მაინტერესებს.

**— ცოტა გასაკვირია, ჯერ განაცხადეთ, რომ ნაკრებში სიამოვნებით ითამაშებდით, ახლა კი მოულოდნელად აზრი იცვალეთ, მაინც რამ გამოიწვია ეს?**

— კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეროვნულში თამაში ჩემი პირადი საქმეა და ამასთან დაკავშირებით არავისი აზრი არ მაინტერესებს. რაც შეეხება ჭოჭმანს, ეს იმან გამოიწვია, რომ თავიდან ემოციებს ავყევი, მერე კი კარგად დავფიქრდი და საბოლოო გადაწყვეტილებაც ისე მივიღე. ახლა კლუბში საქმე ძალიან კარგად მიმდის, მიუნხენში თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და მინდა მხოლოდ და მხოლოდ „ბაიერნზე“ ვიფიქრო.

**— ისე გამოდის, რომ მალტაზე გამართულ მატჩებში სიამოვნება ვერ მიიღეთ, თქვენც ხომ არ იგრძენით კრიტიკა?**

— შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ კრიტიკას ჩემს გადაწყვეტილებაზე არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია.

**— მწვრთნელის შეცვლამაც ხომ არ მოახდინა გარკვეული ზემოქმედება?**

— არა. მწვრთნელები აქ არაფერ შუაში არიან. ბერტი ფოგტსმა ჩემს ნაკრებში დაბრუნებაზე გარკვეული გავლენა კი იქონია, მაგრამ იგი ნაკრებში რომც დარჩენილიყო, ეროვნული გუნდიდან ადრე თუ გვიან მაინც წავიდოდი. რაც შეეხება ერიხ რიბეკს, მისი გულისთვის სულაც არ მითქვამს უარი ნაკრებზე. მე ორშაბათს ვესაუბრე რიბეკს და გადაწყვეტილების მიზეზიც ავუხსენი. ვფიქრობ გავუგეთ ერთმანეთს. ერთ-ერთი მთავარი საბაბი ასაკიცაა. უკვე 30 წლის ვარ და მეტი დასვენება მჭირდება. ამდენ დატვირთვას და დაძაბულობასაც ველარ გავუძლებ.

**— აბა 37 წლის ლოთარ მათეუსმა რაღა თქვას?**

— ეს მისი პირადი საქმეა, მან ისე გადაწყვიტა, მე — ასე. პირადად ჩემთვის „ბაიერნი“ უფრო მნიშვნელოვანია. არ მსურს გუნდში სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე იმის გამო, რომ ნაკრებიდან დაღლილი მივედი. ლოთარ მათეუსს კი ამის საფრთხე ემუქრება. ეს თავად ოტმარ ჰიტცფელდმაც უთხრა.

ასე რომ, გერმანიის ნაკრებს შტეფან ეფენბერგის სახით მნიშვნელვანი ძალა მოაკლდა. ეს თავად რიბეკმაც განაცხადა: „ძალიან სამწუხაროა მისი დაკარგვა, მით უმეტეს, ბოლო მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. იგი ძალიან ძლიერი და თვითდაჯერებული შემოქმედია“.

**ვანო ოქროპირიძე**



შტეფან ეფენბერგმა ნაკრებს „ბაიერნი“ ამჯობინა

## ფეხბურთის რუკასთან



**სერბი** სპეციალისტი ბორისლავ მილუტინოვიჩი, რომელიც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში, წარსულში კი კიდევ სამ ნაკრებს — მექსიკის, კოსტა რიკის და აშშ-ს ნაკრებებს წვრთნიდა, ამიერიდან ამერიკულ „ნიუ-იორკ მეტროსტარზს“ უთავკაცებს. ამ თანამდებობაზე 54 წლის მილუტინოვიჩი ალფონსო მონდელოს შეცვლის, ვისი ხელმძღვანელობითაც გასულ სეზონში გუნდმა მეტად წარუმატებლად იასპარეზა. „მეტროსტარზის“ გენერალურმა მენეჯერმა, ჩარლი სტილიტანომ ამასთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა: „შარშან წარუმატებელი სეზონი გვქონდა, ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ საჭირო იყო გარკვეული ცვლილებები. დიდი იმედი გვაქვს, მილუტინოვიჩის უდიდესი გამოცდილება გუნდს ძლიერ დაეხმარება და წლევანდელი ჩემპიონატი არნახულ გამარჯვებებს მოგვიტანს“. თავად მწვრთნელმა კი აღნიშნა: „მეტროსტარზში“ რამდენიმე უმაღლესი დონის ფეხბურთელია. მე მათ კარგად ვიცნობ და მჯერა, ერთმანეთს კარგად გავუგებთ. ნიჭი არასდროს იკარგება“. ბორა მილუტინოვიჩი ახალ კლუბში მუშაობას გუშინ შეუდგა.

**ნიგერიის** ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, რომელიც ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ვარიში გაიმართა და რომლის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მსაჯმა მასპინძელთა ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა, აღშფოთებული გულშემატკივრების დაშოშმინებისას ჯარისკაცებმა ცეცხლსასროლი იარაღით ოთხი ქომაგი სიცოცხლეს გამოასალმეს. დღესდღეობით ამ საქმის გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული შემთხვევა პირველი არ არის — ბოლო ორი წლის განმავლობაში ნიგერიაში ანალოგიურ ინციდენტებს უკვე რამდენიმე გულშემატკივარი შეეწირა.

**ესპანეთის** ჩემპიონისა და თასის მფლობელის, „ბარსელონას“ პრეზიდენტი, ხოსეპ ლუის ნუნიესი მაინც არ იშლის თავისას და ჯიუტად ლამობს ამსტერდამის „აიაქსიდან“ ტყუპი ძმების — ფრანკ და რონალდ დე ბურების გადაბირებას. შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, ფეხბურთელები თანახმანი არიან „აიაქსში“ კიდევ ერთი წლით დარჩენაზე, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტები გახდებიანო. თუმცა, ეტყობა, ნუნიესი ვეღარ ითმენს და დე ბურების შეძენა ახლავე სურს: „მე კვლავ დიდი სურვილი მაქვს ფრანკის და რონალდის „ბარსელონაში“ ხილვისა. ადრე „აიაქსისთვის“ 3,2 მილიარდი პესეტას (21,9 მილიონი დოლარი) გადახდას ვაპირებდი, მაგრამ ახლა, როდესაც სეზონი უკვე დაიწყო და შედეგად ერთი წელი დაიკარგა, 10 პროცენტით ნაკლებს გავიღებ“ — ჯიუტად იმეორებს ნუნიესი.

**ნიგერიის** ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველმა ავგუსტინ ჯეი-ჯეი ოკოჩამ შესაძლოა, 1 ოქტომბერს თასების თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრაში ისრაელური ჰაიფას „მაკაბის“ წინააღმდეგ თავისი კლუბის შემადგენლობაში ვერ ითამაშოს. საქმე ისაა, რომ 4 ოქტომბერს აფრიკის თასის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩში ნიგერიელები ბურკინა ფასოს ხვდებიან და ოკოჩა ამ თამაშისთვის მოსამზადებელ ეტაპზე არის გამოძახებული. თუმცა, ფრანგული მხარე იმედს არ კარგავს. კერძოდ, პსჟ-ს პრეზიდენტმა შარლ ბიეტრიმ განაცხადა: „ითამაშოს ოკოჩამ „მაკაბისთან“ და ნიგერიის ეროვნული გუნდის თავკაცობა სადაც მეტყვის, მატჩის დასრულებისთანავე იგი იქ გადაფრინდება“.

**რუსეთის** პირველ დივიზიონში მოასპარეზე ნალჩიკის „სპარტაკი“ ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან, ალბათ, გარკვეულ სასჯელს მიიღებს. ამის მიზეზი „სპარტაკისა“ და ტულის „არსენალის“ მატჩის მომსახურე არბიტრის ფიზიკური შეურაცხყოფაა. ნიკოლაი ივანოვი (მსაჯი) იხსენებს: „როდესაც შეხვედრის დასრულების შემდეგ მსაჯთა ოთახისკენ გავეშურე, წინ „სპარტაკის“ გულშემატკივარი გადამეღობა და მობილური ტელეფონით ცხვირი გამიტეხა“. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ლეონიდ ლიპოვოიმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „არა მგონია, ამ სეზონში ნალჩიკელებმა საკუთარ მინდორზე ითამაშონ, ყველაფერს, ფინანსური პრობლემების ჩათვლით, ეს ინციდენტიც დაემატა, რამაც, ბუნებრივია, საფეხბურთო წრეებსა და გულშემატკივრებში დიდი აღშფოთება გამოიწვია“. შემდეგ შეხვედრას „სპარტაკი“ ნეიტრალურ მოედანზე გამართავს, ხოლო რა იქნება მომავალში, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

**ბელგიასა და ჰოლანდიაში დანიშნულ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატს, შეჯიბრების დირექტორის ალენ კურტოსის აზრით, ხელს ყველაფერზე მეტად გადატვირთული ავტომოძრაობა შეუშლის. „ყველა უსაფრთხოებასა და ბილეთებზე ლაპარაკობს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საგზაო პრობლემა არანაკლები სიმწვავით წამოჰყოფს თავს“ — განუცხადა კურტოსმა გაზეთ „ჰეტ ნიუსბანდს“ — „როგორ უნდა მივიდეს ხალხი სტადიონებზე? აუცილებელია ორ ქვეყანას შორის გამართული ავტომოძრაობის დანერგვა. ვიმეორებ, საგზაო პრობლემა ევრო 2000-ზე უმთავრესი იქნება“. ცნობილი გახდა ისიც, რომ ბილეთების განაწილების წესისა და რიგის შესახებ ორგანიზატორები 27 ოქტომბერს როტერდამში, პრესკონფერენციაზე ისაუბრებენ.**

**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი ზედიზედ მესამედ აღიარეს ქვეყნის საუკეთესო მეკარედ. გამოკითხვაში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, გერმანიის საფეხბურთო კავშირში გაერთიანებული კლუბების მწვრთნელები მონაწილეობდნენ. მიუნხენური კლუბის 29 წლის მეკარემ 48 ხმა მიიღო და მეორე ადგილზე გასული „შალკეს“ ყოფილი და „მილანის“ ახლანდელი გოლკიპერი იენს ლემანი 12 ხმით ჩამოიტოვა. მესამეზე მარსელის „ოლიმპიკის“ კარის დარაჯი ანდრეას კიოპკე გავიდა, რომელსაც მხარი 26 მწვრთნელმა დაუჭირა. აღსანიშნავია, რომ სამივენი ნაკრების მეკარეებად ითვლებიან.

**ბულგარეთის ჩემპიონატი. მე-6 ტური. შუმენი — ბოტევი 1:1, პირინი — ცსკა 0:0, ლევსკი (კუისტენდილი) — ნეფტოხიმიკი 3:0, მეტალურგი — მინიორი 1:2, ლოკომოტივი (პლოვდივი) — სპარტაკი 1:3, სეპტემვრი — ლიტექსი 2:5, სლავია — დობრუჯა 6:2, ლევსკი (სოფია) — ლოკომოტივი (სოფია) 1:0. 14 ქულით გათამაშებას ლიდერობს დედაქალაქის ლევსკი.**

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა პატივი სცეს ქალ გულშემატკივრებს და ლამაზი საღამო უძღვნას მათ. ეს 14 ოქტომბერს მოხდება, როდესაც ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონები ანდორის ნაკრებს მასპინძლობენ. მატჩი „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება, იქ, სადაც 12 ივლისს სამფეროვანმა გუნდმა ბრაზილიას 3:0 მოუგო და მე-20 საუკუნის პლანეტის ბოლო გვირგვინოსნის ტიტული მოიპოვა. 14 ოქტომბერს „სტად დე ფრანსზე“ მისულ თითოეულ მანდილოსანს ფეხბურთის ფედერაციისგან ვარდს გადასცემენ. ამ შეხვედრაზე ქალთათვის 9 ათასი ბილეთი 50 ფრანკად ანუ მხოლოდ და მხოლოდ 9 დოლარად გაიყიდება. ქალებს სხვადასხვა სპონსორებიც მიუძღვნიან საჩუქრებს. სხვათა შორის, ბურთის მიმტანებიც გოგონები იქნებიან.

**გერმანიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა მიუნხენის „ბაიერნში“ მუშაობის დროს თომას შტრუნცი თავიდან მოიშორა, ახლა კი ეროვნულ გუნდში იძახებს. ბავარიის ტელევიზიით გამოსვლისას რიბეკმა განაცხადა: „შტრუნცის დაწუნების შემდეგ ხუთი წელიწადია გასული. მოხარული ვარ, რომ თომასი კარგად ათამაშდა და მგონი ნაკრებში ადგილს მოვუძებნი.“ შეგახსენებთ, რომ გერმანელთა ახალ თავკაცს ახალ ამპლუაში პირველი გამოცდა 10 ოქტომბერს თურქეთში ელის, მეორე კი 14-ში მოლდოვასთან. 30 წლის შტრუნცმა ნაკრებში ბოლოს 1996 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ ითამაშა.**

**ხორვატი** ფორვარდი, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დავორ შუკერი, რომელიც მადრიდის „რეალში“ თამაშობს, ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ წვრთნას შეუდგა. შუკერმა მუხლი სეზონისწინა საკონტროლო თამაშის დროს დაიზიანა. „დარბაზში კი ვვარჯიშობდი, მაგრამ ტრენაჟორებთან მუშაობა ძალიან მოსაბეზრებელი გახლდათ. ტრავმის მოშუშების პერიოდი ყოველთვის უსიამოვნოა, მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა და მე თავს ბედნიერად ვგრძნობ. იმედი მაქვს, რომ მწვრთნელის გეგმიდან არ ამოვვარდნილვარ“ — თქვა თავდამსხმელმა. შუკერი ალბათ 4 ოქტომბერს, ესპანეთის პირველობის შეხვედრაში, „რეალ ბეტისის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა D ჯგუფი

## ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 03.12.1964 |
| სტადიონი | „ბრონდბიუ სტადიუმი“ (21 300) |
| პრეზიდენტი | ოლე ბორგი |
| მწვრთნელი | ებე სკოვდალი |
| კაპიტანი | ჯონ იენსენი |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (8) | 1985, 87, 88, 90, 91, 96, 97, 98 |
| თასის მფლობელი (3) | 1989, 94, 98 |
| ყველაზე მეტი მატჩი | ბიერნ იენსენი (556) |
| ყველაზე მეტი გოლი | კიმ ვილფორტი (120) |

**ჩემპიონთა ლიგაში ბრონდბიუს თამაშების განრიგი**

30.09 ბარსელონა - ბრონდბიუ
21.10 ბრონდბიუ - მანჩესტერი
04.11 მანჩესტერი - ბრონდბიუ
25.11 ბაიერნი - ბრონდბიუ
09.12 ბრონდბიუ - ბარსელონა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მოგენს კროგი | მეკარე | 31.10.63 |
| 22. | ემეკა ანდერსენი | მეკარე | 08.06.71 |
| 30. | კიმ დრეისი | მეკარე | 15.08.80 |
| 2. | ოლე ბიური | მცველი | 13.09.68 |
| 3. | ანდერს ბიერგაარდი | მცველი | 09.07.74 |
| 4. | პერ ნილსენი | მცველი | 15.10.73 |
| 5. | ვრეგელ და სილვა (ბრაზილია) | მცველი | 29.03.74 |
| 6. | ალან რავნი | მცველი | 04.02.74 |
| 14. | სიორენ კოლდინგი | მცველი | 02.09.72 |
| 16. | ბრაიან იენსენი | მცველი | 23.04.68 |
| 18. | აურელიუს შკარბალიუსი (ლიტვა) | მცველი | 20.10.75 |
| 19. | კენეტ რასმუსენი | მცველი | 11.09.73 |
| 25. | ლეის ვიგი | მცველი | 26.07.78 |
| 7. | ჯონ იენსენი | ნახევარმცველი | 03.05.65 |
| 8. | კიმ დაუგაარდი | ნახევარმცველი | 29.03.74 |
| 9. | იესპერ ტიგესენი | ნახევარმცველი | 20.09.69 |
| 17. | სიორენ კროგი | ნახევარმცველი | 19.04.77 |
| 21. | მიკელ იენსენი | ნახევარმცველი | 06.01.77 |
| 23. | მადს ოლსენი | ნახევარმცველი | 06.01.78 |
| 24. | ტომას ლინდრუპი | ნახევარმცველი | 21.05.76 |
| 12. | ებე სანდი | თავდამსხმელი | 19.07.72 |
| 13. | ბო ჰანსენი | თავდამსხმელი | 16.06.73 |
| 15. | რუბენ ბაგერი | თავდამსხმელი | 16.01.72 |
| 20. | პეტერ მადსენი | თავდამსხმელი | 26.04.78 |
| 26. | ბენტ კრისტენსენი | თავდამსხმელი | 04.01.77 |
| 27. | ტორბიორნ სვეინსენი | თავდამსხმელი | 30.08.77 |
| 28. | პეტერ ფოლდგესტი | თავდამსხმელი | 03.12.79 |

## მანჩესტერ იუნაიტედი (მანჩესტერი, ინგლისი)

| | |
|---|---|
| დაარსდა | 28.04.1902 |
| სტადიონი | „ოლდ ტრეფორდი“ (55 800) |
| პრეზიდენტი | მარტინ ედვარდსი |
| მწვრთნელი | ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია) |
| კაპიტანი | როი კინი |



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (11) | 1908, 11, 52, 56, 57, 65, 67, 93, 94, 96, 97 |
| თასის მფლობელი (9) | 1909, 48, 63, 77, 83, 85, 90, 94, 96 |
| ლიგის თასის მფლობელი | 1992 |
| ყველაზე მეტი მატჩი | სერ ბობი ჩარლტონი (606) |
| ყველაზე მეტი გოლი | სერ ბობი ჩარლტონი (199) |

1968 წელს ჩემპიონთა თასის მფლობელი
1991 წელს თასების თასის მფლობელი
1991 წელს სუპერთასის მფლობელი

**ჩემპიონთა ლიგაში მანჩესტერ იუნაიტედის თამაშების განრიგი**

30.09 ბაიერნი-მანჩესტერი
21.10 ბრონდბიუ-მანჩესტერი
04.11 მანჩესტერი-ბრონდბიუ
25.11 ბარსელონა-მანჩესტერი
09.12 მანჩესტერი-ბაიერნი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | პეტერ შმაიხელი (დანია) | მეკარე | 18.11.63 | 190/101 |
| 17. | რაიმონდ ვან დერ გოუ (ჰოლანდია) | მეკარე | 24.03.63 | 188/86 |
| 31. | ნიკოლას ჯეიმს კალკინი | მეკარე | 06.07.78 | |
| 2. | გარი ნევილი | მცველი | 18.02.75 | 175/74 |
| 3. | დენის ირვინი (ირლანდია) | მცველი | 31.10.65 | 170/68 |
| 4. | დევიდ მეი | მცველი | 24.06.70 | 180/84 |
| 5. | რონი იონსენი (ნორვეგია) | მცველი | 10.06.69 | 186/83 |
| 6. | იააპ სტამი (ჰოლანდია) | მცველი | 17.07.72 | 191/90 |
| 12. | ფილიპ ნევილი | მცველი | 21.01.77 | 176/74 |
| 21. | ჰენინგ ბერგი (ნორვეგია) | მცველი | 01.09.69 | 183/78 |
| 23. | მაიკლ კლეგი | მცველი | 03.07.77 | 173/73 |
| | ჯონი კერტისი | მცველი | 03.09.78 | |
| | უესლი ბრაუნი | მცველი | 16.03.79 | |
| | დენი ჰიგინბოტემი | მცველი | 29.12.78 | |
| 7. | დევიდ ბექემი | ნახევარმცველი | 02.05.75 | 180/75 |
| 8. | ნიკი ბათი | ნახევარმცველი | 21.01.75 | 175/72 |
| 15. | იესპერ ბლომკვისტი (შვედეთი) | ნახევარმცველი | 05.02.74 | |
| 16. | როი კინი (ირლანდია) | ნახევარმცველი | 10.08.71 | 176/77 |
| 18. | პოლ სქოულზი | ნახევარმცველი | 16.11.74 | 168/72 |
| 22. | ერიკ ნიულანდი | ნახევარმცველი | 10.11.77 | 178/74 |
| 28. | ფილიპ მალრეინი | ნახევარმცველი | 01.06.78 | 172/75 |
| | მაიკლ ტვისი | ნახევარმცველი | 26.12.77 | |
| 9. | ენდი კოული | თავდამსხმელი | 15.10.71 | 175/177 |
| 10. | ტედი შერინგემი | თავდამსხმელი | 02.04.66 | 191/180 |
| 11. | რაიან გიგზი (უელსი) | თავდამსხმელი | 29.11.73 | 177/69 |
| 14. | ხორდი კრუიფი (ჰოლანდია) | თავდამსხმელი | 09.02.74 | 181/70 |
| 19. | დუაიტ იორკი (ტრინიდადი და ტობაგო) | თავდამსხმელი | 03.11.71 | |
| 20. | ოლე გუნარ სოლსკიაერი (ნორვეგია) | თავდამსხმელი | 26.02.73 | 175/75 |
| | ტერი კუკი | თავდამსხმელი | 05.08.76 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრონდბიუ მანჩესტერი ბაიერნი ბარსელონა

CHAMPIONS LEAGUE

## ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)

დაარსდა 27.02.1900
სტადიონი „ოლიმპიაშტადიონი“ (64 000)
პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი
მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი
კაპიტანი ტომას ჰელმერი



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (14) | 1932, 69, 72, 73, 74, 80, 81, 85, 86, 87, 89, 90, 94, 97 |
| თასის მფლობელი (9) | 1957, 66, 67, 69, 71, 82, 84, 86, 98 |
| ყველაზე მეტი მატჩი | ზეპ მაიერი (473) |
| ყველაზე მეტი გოლი | გერდ მიულერი (365) |

1974, 75, 76 წლებში ჩემპიონთა თასის მფლობელი
1982, 87 წლებში ჩემპიონთა თასის ფინალისტი
1967 წელს თასების თასის მფლობელი
1996 წელს უეფას თასის მფლობელი
1976 წელს საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი

**ჩემპიონთა ლიგაში ბაიერნის თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | ბაიერნი - მანჩესტერი |
| 21.10 | ბაიერნი - ბარსელონა |
| 04.11 | ბარსელონა - ბაიერნი |
| 25.11 | ბაიერნი - ბრონდბიუ |
| 09.12 | მანჩესტერი - ბაიერნი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ოლივერ კანი | მეკარე | 15.06.69 | 188/88 |
| 12. | სვენ შოიერი | მეკარე | 19.01.71 | 187/87 |
| 22. | ბერნდ დრეერი | მეკარე | 02.11.66 | 187/85 |
| 2. | მარკუს ბაბელი | მცველი | 08.09.72 | 190/97 |
| 3. | ბიქსენტ ლისარასუ (საფრანგეთი) | მცველი | 09.12.69 | 169/71 |
| 4. | სამუელ ოსეი კუფური (განა) | მცველი | 03.09.76 | 175/76 |
| 5. | ტომას ჰელმერი | მცველი | 21.04.65 | 185/77 |
| 8. | ტომას შტრუნცი | მცველი | 25.04.68 | 183/78 |
| 10. | ლოტარ მათეუსი | მცველი | 21.03.61 | 174/72 |
| 18. | მიხაელ ტარნატი | მცველი | 27.10.69 | 186/82 |
| 23. | ფრანკ ვიბლიშაუზერი | მცველი | 18.10.77 | 180/77 |
| 25. | ტომას ლინკე | მცველი | 26.12.69 | 182/77 |
| 7. | მეჰმეთ შოლი | ნახევარმცველი | 16.10.70 | 177/68 |
| 11. | შტეფან ეფენბერგი | ნახევარმცველი | 02.08.68 | 186/85 |
| 14. | მარიო ბასლერი | ნახევარმცველი | 18.12.68 | 186/81 |
| 16. | ტორსტენ ფინკი | ნახევარმცველი | 29.10.67 | 181/79 |
| 17. | იენს იერემისი | ნახევარმცველი | 05.03.74 | 176/76 |
| 20. | ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბოსნია) | ნახევარმცველი | 01.01.77 | 176/71 |
| 29. | კრისტიან საბა (განა) | ნახევარმცველი | 29.12.78 | 175/73 |
| 31. | დევიდ იაროლიმი (ჩეხეთი) | ნახევარმცველი | 17.05.79 | 176/65 |
| 32. | ემანუელ ბენტილი (საფრანგეთი) | ნახევარმცველი | 03.12.78 | 170/65 |
| 33. | მარკუს უეინზირლი | ნახევარმცველი | 28.12.74 | |
| 9. | ჯოვანი დე სოუზა ელბერი (ბრაზილია) | თავდამსხმელი | 23.07.72 | 180/78 |
| 15. | ალექსანდერ ბუგერა | თავდამსხმელი | 08.08.78 | 180/173 |
| 19. | კარსტენ იანკერი (ავსტრია) | თავდამსხმელი | 28.08.74 | 193/89 |
| 21. | ალექსანდერ ციკლერი | თავდამსხმელი | 28.08.74 | 188/86 |
| 24. | ალი დაეი (ირანი) | თავდამსხმელი | 21.03.69 | 188/82 |
| 28. | ბერკანტ გიოკტანი (თურქეთი) | თავდამსხმელი | 12.12.80 | 176/70 |

## ბარსელონა (ბარსელონა, ესპანეთი)

დაარსდა 29.11.1899
სტადიონი „კამპ ნოუ“ (115 000)
პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი
მწვრთნელი ლუის ვან გაალი (ჰოლანდია)
კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა



| | |
|---|---|
| ქვეყნის ჩემპიონი (15) | 1929, 45, 48, 49, 52, 53, 59, 60, 74, 85, 91, 92, 93, 94, 98 |
| თასის მფლობელი (24) | 1910, 12, 13, 20, 22, 25, 26, 28, 42, 51, 52, 53, 57, 59, 63, 68, 71, 78, 81, 83, 88, 90, 97, 98 |
| ყველაზე მეტი მატჩი | მიგელ „მიგელი“ ბერნარდო ბიანკეტი (656) |
| ყველაზე მეტი გოლი | პაულინო ალკანტარა (356) |

1992 წელს ჩემპიონთა თასის მფლობელი
1961, 86, 94 წლებში ჩემპიონთა თასის ფინალისტი
1979, 82, 89, 97 წლებში თასების თასის მფლობელი
1969, 91 წლებში თასების თასის ფინალისტი
1958, 60, 66 წლებში ბაზრობათა თასის (აზლანდელი უეფას თასის) მფლობელი
1962 წელს უეფას თასის ფინალისტი
1993, 98 წლებში სუპერთასის მფლობელი

**ჩემპიონთა ლიგაში ბარსელონას თამაშების განრიგი**

| | |
|---|---|
| 30.09 | ბარსელონა-ბრონდბიუ |
| 21.10 | ბაიერნი-ბარსელონა |
| 04.11 | ბარსელონა-ბაიერნი |
| 25.11 | ბარსელონა-მანჩესტერი |
| 09.12 | ბრონდბიუ-ბარსელონა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ვიტორ მანუელ ბაია (პორტუგალია) | მეკარე | 05.10.69 | 186/81 |
| 13. | რუუდ ჰესპი (ჰოლანდია) | მეკარე | 31.10.65 | 191/85 |
| 25. | ფრანსის არნაუ | მეკარე | 23.03.75 | 186/83 |
| 2. | მიხაელ რაიციგერი (ჰოლანდია) | მცველი | 03.05.73 | 178/73 |
| 5. | აბელარდო ფერნანდესი | მცველი | 19.04.70 | 180/77 |
| 12. | სერხი ბარხუანი | მცველი | 28.12.71 | 174/68 |
| 17. | უინსტონ ბოგარდი (ჰოლანდია) | მცველი | 22.10.70 | 188/87 |
| 20. | მიგელ ანხელ ნადალი | მცველი | 28.07.66 | 187/87 |
| 22. | სამუელ გბენგა ოკუნოვო (ნიგერია) | მცველი | 01.03.79 | 180/70 |
| 26. | ხავიერ ერნანდეს კროისი | მცველი | 25.01.80 | 168/66 |
| 4. | ხოსეპ გვარდიოლა | ნახევარმცველი | 18.01.71 | 180/76 |
| 6. | ოსკარ გარსია | ნახევარმცველი | 26.04.73 | 180/75 |
| 8. | ალბერტ სელადესი | ნახევარმცველი | 29.09.75 | 174/72 |
| 10. | ჯოვანი სილვა დე ოლივეირა (ბრაზილია) | ნახევარმცველი | 04.02.72 | 189/84 |
| 15. | ფილიპ კოკუ (ჰოლანდია) | ნახევარმცველი | 29.10.70 | 182/74 |
| 21. | ლუის ენრიკე მარტინესი | ნახევარმცველი | 08.05.70 | 180/73 |
| 24. | როხერ გარსია | ნახევარმცველი | 15.12.76 | 178/70 |
| 7. | ლუიშ ფილიპ მადეირა ფიგუ (პორტუგალია) | თავდამსხმელი | 04.11.72 | 180/75 |
| 9. | სონი ანდერსონ და სილვა (ბრაზილია) | თავდამსხმელი | 19.09.70 | 181/76 |
| 11. | რივალდო ბორბა ფერეირა (ბრაზილია) | თავდამსხმელი | 19.04.72 | 186/75 |
| 14. | ემანუელ ამუნიკე (ნიგერია) | თავდამსხმელი | 25.12.70 | 170/68 |
| 16. | დრაგან ჩირიჩი (იუგოსლავია) | თავდამსხმელი | 15.09.74 | 180/73 |
| 23. | ბუდევინ „ბოლო“ ზენდენი (ჰოლანდია) | თავდამსხმელი | 15.08.76 | 174/170 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1962

იოზეფ მასოპუსტი

# მისი უდიდებულესობა იოზეფ I

ლაშა გოდუაძე

1961 წლის შემოდგომით, ყოფილი ჩეხოსლოვაკიის იმ ხანებში უძლიერესი კლუბი პრაღის „დუკლა" სამხრეთამერიკულ ტურნეში მოგზაურობდა. ქვეყნის ჩემპიონებმა მოიარეს ეკვადორი, ბოლივია, ურუგვაი, კოლუმბია, არგენტინა, ჩილე, სულ ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონთა სამშობლოს, ბრაზილიას მიადგნენ. ერთ-ერთი ამხანაგური მატჩი „დუკლას", 60-იან წლების სამხრეთ ამერიკისა და პლანეტის უძლიერეს კლუბ „სანტოსთან" ჰქონდა, სწორედ იმ გუნდთან, რომელშიც ფეხბურთის მეფედ შერაცხული პელე ბრწყინავდა.

თამაში პრაღელებმა შესამჩნევად ძლიერად დაიწყეს. შესვენებისთვის „სანტოსს" 2:0 უგებდნენ, თუმცა შემდეგ ამოქმედდა პელე, ფეხბურთის სხვა სან პაულუელი ჯადოქრები და მასპინძლებმა მოიგეს კიდეც მატჩი — 4:3. შეხვედრის შემდგომ ჰელე თავად მივიდა სტუმართა კაპიტანთან იოზეფ მასოპუსტთან და მაისურის გაცვლა სთხოვა.

ბრაზილიელთა სათაყვანებელი ფეხბურთელის ეს ნაბიჯი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მეორე დილით ოკეანისგაღმელთა პრესას მასოპუსტი მისი უდიდებულესობა იოზეფ I-ად მოეხსენია. რატომ? ზემოხსენებული თამაშის შემდეგ პელეს ჟურნალისტთათვის განუცხადებია, ბევრ ბრწყინვალე მოთამაშეს დავპირისპირებივარ, ასეთი გენიალური ფეხბურთელი კი ჯერ არ მინახავსო. მიუხედავად იმისა რომ მაშინ პელე მხოლოდ 20 წლისა იყო, მის სიტყვას ძალიან დიდი ფასი ჰქონდა.

გულშემატკივართა ახლანდელ თაობას ეგებ უცნაურადაც მოეჩვენოს „ფრანს ფუტბოლის" გადაწყვეტილება 1962 წელს „ოქროს ბურთის" ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელისთვის მიკუთვნების თაობაზე, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მასოპუსტი 31 წლისა გახლდათ, კონტინენტზე მისი მჯობნი არ მოიძებნებოდა. ჩეხოსლოვაკიის პირველობა გნებავთ, ევროტურნირები თუ მსოფლიოს ჩემპიონატი, მასოპუსტი ართუ თავს არ ირცხვენდა, პირიქით, უმეტესწილად ბრწყინვალედაც გამოიყურებოდა. შესაბამისად ძლიერად თამაშობდნენ მისი გუნდებიც.

1962 წელს „დუკლამ" კვლავ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, იოზეფ მასოპუსტი კი პირველობის ოქროს მედალს მეხუთედ დაეუფლა. მიუხედავად ნიშანდობლივი გამარჯვებისა, იმ წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც მსოფლიოს ჩემპიონატი გახლდათ, ტურნირი რომელზეც გამორჩეულ ფეხბურთელებს ძალიან ბევრი მოეთხოვებათ და თავიანთი ძალის დამტკიცება უწევთ.

ბედმა ისე ინება, რომ ჯგუფში ჩეხოსლოვაკია ტიტულის მფლობელ ბრაზილიასთან მოხვდა. მასოპუსტიც ვინ მოთვლის მერამდენედ დაუპირისპირდა ბრაზილიელებს. პირველმა თამაშმა შედეგი ვერ გამოიღო — ბრწყინვალე თავდასხმით თავმომწონე ბრაზილიელებმა ევროპელთა დაცვა ვერ გაარღვიეს და მატჩიც ფრედ 0:0 დასრულდა, თუმცა მეტოქეთა ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა — ნელ-ნელა ორივე გუნდმა ფინალისკენ გაიკაფა გზა და 1962 წლის 17 ივნისს „ესტადიო ნასიონალზე", 70 ათასი ქომაგის თვალწინ ჩეხოსლოვაკია კვლავ დაუპირისპირდა ბრაზილიას. მატჩის ფრედ დასრულება შეუძლებელი გახლდათ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გახლდათ, შეხვედრა, რომელსაც ორი გამარჯვებული ვერაფრისდიდებით ვერ ეყოლებოდა.

მე-16 წუთზე მასოპუსტმა გაიბრწყინა — მცველს გაცდენილმა უძლიერესად დაარტყა. ჟილმარმა და მის საშველად გადამხტარმა ჯალმა სანტოსმა ვერაფერი მოახერხეს — 1:0. ჩეხოსლოვაკია დაწინაურდა. ევროპელთა სამწუხაროდ, ეს მათი ბედის სიმღერა აღმოჩნდა. იბრძოდა მასოპუსტი თავგანწირვით, მაგრამ რად გინდა? თასის დაკარგვის საშიშროებამ უმალ აამუშავა ბრაზილიელები, გარინჩას, ვავას, დიდის, ნილტონ სანტოსის და სხვა ჯადოქრების წინააღმდეგ კი ეული იოზეფი ვერას გახდა — 3:1 და ქალდმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება კვლავ ბრაზილიას გაემგზავრა.

როცა გუნდში ერთი ვარსკვლავია და ათი ფუტკარივით მუშა ფეხბურთელი, წარმატება მიიღწევა, მაგრამ ეს გუნდი ვერას გახდება ვარსკვლავთა ნაკრებთან. ჩეხოსლოვაკია ბრაზილიასთან სწორედ ამიტომ დამარცხდა.

გრალეს დისკონალე — სრულყოფილება. სწორედ ამ სიტყვებით შეამკეს ჩილელებმა იოზეფ მასოპუსტი. სანტიაგო, ვინა დელ მარი და რანკაგუა მოწმე გახდა ბევრისთვის უცნობი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელის ბრწყინვალებისა.



მსოფლიოს ჩემპიონატმა, ისევე როგორც ყველაფერმა ამ ცხოვრებაში, ჩაიარა. ემატებოდა და ემატებოდა წლები მასოპუსტს, მაგრამ პრაღელ ცენტრფორვარდს საფეხბურთო სიბერე არ ეტყობოდა. მისი ფეხბურთით ბავშვები ბურთის თამაშის ხელოვნებას სწავლობდნენ, ქომაგები ტკბებოდნენ, სპეციალისტები კვლავ და კვლავ აღფრთოვანდებოდნენ.

საფეხბურთო სიბერესთან ერთად მასოპუსტს უფრო და უფრო აღიარებდნენ — 1964 წელს ევროპის რჩეულ ფეხბურთელთა ნაკრებს კაპიტნობდა იუგოსლავიელებთან მატჩში, ერთი წლის შემდეგ კი ოქროს ბურთის პირველი მფლობელის, ინგლისელი სერ სტენლი მეტიუზის ფეხბურთიდან გაცილებისადმი მიძღვნილ შეხვედრაში ითამაშა. ამას გარდა კიდევ იყო ბევრი დასამახსოვრებელი მატჩი, თამაშები, რომლებმაც შექმნეს კიდეც იოზეფ მასოპუსტი.

1966-67 წლების ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ისევე როგორც წინა სეზონებში, კვლავ ჩაება „დუკლა". პირველი ეტაპი, შვედური „ესბერგი" ჩეხოსლოვაკიელებმა ადვილად დაძლიეს. არც ბელგიური „ანდერლეხტის" ბეჭებზე გაკვრა გასჭირვებიათ, აი მესამე მეტოქე, ამსტერდამის „აიაქსი" კი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა — სტუმრად ფრედ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ „დუკლამ" შინ 2:1 მოიგო.

მასოპუსტმა ამსტერდამელებთან კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. ჰოლანდიელები ვერა და ვერ ახერხებდნენ მის შეჩერებას, დაქროდა ბურთის ბებერი ოსტატი ფლანგიდან ფლანგზე, ბრდღვნიდა „აიაქსის" დაცვას და საფუძველს უყრიდა „დუკლას" გამარჯვებას. პრაღაში 2:1 მოგებული მატჩის შემდეგ ამსტერდამური პრესა წერდა: „მასოპუსტმა ჰოლანდიაც დალახვრა. ის ძლიერი რომ იყო ვიცოდით, მაგრამ ვერ გავითვალისწინეთ რომ ძალიან ძლიერი იქნებოდა. „აიაქსი" პრაღაში ლომმა დატორა. სამწუხაროდ ჭრილობა დამღუპველი აღმოჩნდა". ასეთი კომპლიმენტები მხოლოდ ნიდერლანდელებისგან არ მოდიოდა. მასოპუსტის სიძლიერეს 60-იან წლებში მთელ კონტინენტზე აღიარებდნენ.

1968 წელს ჩეხოსლოვაკური ფეხბურთის ლეგენდამ „დუკლასთან" განშორება ამჯობინა.

37 წლის ასაკში მასოპუსტი ძველებურად ველარ ირჯებოდა. ნიჭიერი ახალგაზრდებიც მოდიოდნენ, მათთვის ხელის შეშლა კი აბა რა კაცობა იქნებოდა.

იმ გაზაფხულს „დუკლას" კიდევ ერთხელ შეეძლო ქვეყნის თასის მოგება, მაგრამ ვერ მოახერხა — ბრატისლავის „სლოვანი" პრაღელებმა მასოპუსტის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხეს, საპასუხო შეხვედრა კი 0:2 დათმეს და თასიც პრაღიდან გაუშვეს.

გენიალური მასოპუსტი „დუკლას" სრულიად ვალმოხდილი გამოეთხოვა, ისე უკან მოხედვის რომ არ შერცხვებოდა. თექვსმეტი(!) წლის მანძილზე თამაშობდა იგი დედაქალაქის გუნდში, თამაშობდა პატიოსნად. ყველაფერი გაილო, რაც შეეძლო, მაგრამ ტკბილი სიზმარი ბოლოს და ბოლოს დასრულდა. მისი უდიდებულესობა იოზეფ I პრაღელებმა გლაზგოს „სელტიკთან" მატჩში გააცილეს — ერთი წლის წინ სწორედ სქოთებმა გამოთიშეს „დუკლა" ჩემპიონთა თასის გათამაშებას.

**იოზეფ მასოპუსტი**

დაიბადა 1931 წლის 9 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ სტრიმიცეში.
თავდამსხმელი
წონა: 73 კგ
სიმაღლე: 1,71 სმ
კლუბები: „მოსტი" (ჩეხოსლოვაკია, 1948-50), „ვოდოტეხნა" (ჩეხოსლოვაკია, 1950-52), „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია, 1952-68), „მოლენბეკი" (ბელგია, 1968-70)
ტიტულები: ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი — 1953, 56, 58, 61, 62, 63, 64, 66; ჩეხოსლოვაკიის თასი — 1961, 65, 66; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1962; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1960;
ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში 63 მატჩში შეაგდო 11 გოლი (1954-66)

ჩეხოსლოვაკური ფეხბურთის მეფე მშობლიური კლუბიდან ბელგიაში გადაბარგდა, კონკრეტულად კი „მოლენბეკში", თუმცა რაიმე წარმატებისთვის არ მიუღწევია, მეტიც, ახალ გუნდში უმეტესწილად სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა, არადა მოედანზე ისინი თამაშობდნენ, მასოპუსტის ზეობის ხანაში ფეხბურთზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ. დიდი იოზეფი ნელნელა ეჩვეოდა უფეხბურთოდ ცხოვრებას, 1970 წელს კი სამუდამოდ მიატოვა საყვარელი თამაში და არა საქმე.

...უდიდესი საერთაშორისო ტიტულებით იოზეფ მასოპუსტი არასდროს ყოფილა დაჯილდოვებული, მაგრამ იგი ოქროს ასოებით შევიდა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. არიან ფეხბურთელები, რომლებიც უამრავ პრიზს იგებენ, მაგრამ მაინც სხვათა ჩრდილში ექცევიან. მასოპუსტისთვის უმაღლესი ტიტულები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობა, კონტინენტის პირველობის მესამე პრიზიორობა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობა იყო, თუმც ამით მას არაფერი დაჰკლებია — ხომ საქვეყნოდაა ცნობილი, რომ გულშემატკივრის სიყვარულს ვერანაირი ოქროს მედლები და თასები ვერ გადაწონის. მასოპუსტიც სწორედ მთავარი ჯილდოსი — ხალხის სიყვარულის მფლობელი გახლდათ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა

24 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი — ლივერპული | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი.

24 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტულუზი — ოსერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბასტია — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — აიაქსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| ტილბურგი — კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ჰერენვენი — უტრეხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტვენტე — მაასტრიხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვიტესი — ვალვაიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ბრედა — აზ 67 | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსტენდე — გენკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| შარლერუა — ლიერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბრიუგე — ლომელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — სენტ ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,6 | 3,8 | 5,6 |
| კილმარნოკი — დანდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ტიროლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ლუსტენაუ — რაპიდი | 5,0 | 3,3 | 1,5 |
| რიდი — ლინცერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შტურმი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ამხანაგური მატჩი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანეთი — რუსეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანია. თასის 1/16 ფინალი

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზიგენი — ფრაიბურგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| კარლ ცაისი — დუისბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ფიურტი — ბაიერნი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ურდინგენი — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — ნიურნბერგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. ლიგის თასი. II წრე. საპასუხო მატჩები

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — ბრენტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| კრისტალ პალასი — ბერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| საუთჰემპტონი — ფულემი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ევერტონი — ჰადერსფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მანჩესტერ სიტი — დერბი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რედინგი — ბარნსლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### იტალიის თასის 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

23 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილანი — ტორინო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვენეცია — კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბოლონია — რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვერონა — სამპდორია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| პიაჩენცა — ლეჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ფიორენტინა — პადოვა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ემპოლი — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| უდინეზე — გუალდო | 1,1 | 6,0 | 2,0 |
| ვიჩენცა — ბრეშა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჯენოა — პარმა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბარი — ლუკეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| კოზენცა — ლაციო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სალერნიტანა — დი სანგრო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| იუვენტუსი — რავენა | 1,15 | 5,6 | 10,0 |

24 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეზენა — ინტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**91. ედუარდ კათიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. რამაზ შენგელია, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**92. ოთარ ჭითანავა.** თბილისი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**93. ზურაბ გოგიჩაიშვილი.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა შავგულიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**94. ნიკოლოზ დოლიაშვილი.** გორი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნესტორ ჩხატარაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. შოთა არველაძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ ბერეჟნოი, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე, ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ მესხი

**95. ვლადიმერ ჯაფარიძე.** თბილისი. ინჟინერი. 75 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ ელოშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**96. ნუკრი პაპუაშვილი.** თბილისი. პოლიციელი. 53 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**97. ლეილა ზამბახიძე.** თბილისი. ფილოლოგი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ ბარქაია, არჩილ არველაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი

**98. ლევან ქავთარაძე.** თბილისი. ხელოვნებათმცოდნე. 37 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**99. გაიოზ შერგელაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 63 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**100. გურამ ბაზირაშვილი.** თბილისი. გეოლოგი. 66 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. შოთა იამანიძე,5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, იბრაგიმ სარჯველაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**101. ლევან ლოლაძე.** გარდაბანი. ინჟინერ-მშენებელი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**102. თენგიზ ლექვინაძე.** ქუთაისი. ელექტრიკოსი. 73 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**103. ვლადიმერ ჯიბუტი.** თბილისი. მძღოლი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**104. ირაკლი ბენიძე.** თბილისი. ექიმი. 36 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გელა კეტაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**105. კობა ავსაჯანიშვილი.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**106. პანო ოქროპირიძე.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**107. ზურაბ ალექსიშვილი.** თბილისი. უმუშევარი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**108. სოსო ნოზაძე.** თბილისი. ინჟინერი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**109. გიორგი მახარაძე.** თბილისი. ინჟინერი. 74 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ ბუტუსოვი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე, ბორის ფროლოვი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**110. ბესარიონ ივანეიშვილი.** რუსთავი. უმუშევარი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. რევაზ ძოძუაშვილი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**111. გიორგი ჯმუხაძე.** თბილისი.მწვრთნელი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ასათიანი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**112. რამაზ საყვარელიძე.** თბილისი. ექიმი. 55 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. რევაზ ძოძუაშვილი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**113. ოთარ მურვანიძე.** ბათუმი. ჟურნალისტი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**114. ნოდარ თანდაშვილი.** თბილისი. ექიმი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. შალვა კაკაბაძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვლადიმერ ბარქაია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ედუარდ თორაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ანთაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**115. ფოთოლა გვინია.** სამტრედია. პედაგოგი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**116. სერგო შანავა.** რუსთავი. ეკონომისტი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ანდრო ჟორდანია, 3. სოსო ჭედია
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ვლადიმერ ბარქაია, 3. თამაზ კოსტავა, 4. ბორის სიჭინავა, 5. ოთარ გაბელია
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, გაიოზ ჯეჯელავა, ვიტალი დარასელია, გრიგოლ გაგუა, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გივი ნოდია, თემურ ქეცბაია

**117. დათო** (გვარი არ მიუთითა). უმუშევარი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**118. ალბერტ ბაჩუკაშვილი.** თბილისი. მწვრთნელი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ ელოშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**119. პაპა ჭიაურელი.** თბილისი. ჟურნალისტი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვლადიმერ ბარქაია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ნიაზ ძიაპშპა, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**120. გიორგი ბიკაშვილი.** თბილისი. ჟურნალისტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის
# მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**
**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი ______
გვარი ______
ასაკი ______
პროფესია ______
მისამართი ______

# კარელინზე ამბობენ: ის დიდებულია!
# კარელინი ამბობს: დიდებული კომპოზიტორი ბახია!

## ჯერაც მოქმედი და უკვე ლეგენდადქცეული რუსი ფალავანი ალექსანდრ კარელინი გუშინ 31 წლის გახდა. ახლახან მან კარგი საჩუქარი მიიღო: მოსკოვის ოლქის საბაჟოს ერთ-ერთ ხელმძღვანელად დანიშნეს

ალექსანდრ კარელინის მსგავსი ფალავნები თითებზე ჩამოითვლებიან. მოგეხსენებათ, სპორტს თავს სხვადასხვა მიზეზის გამო ანებებენ: ტრავმა, ასაკი და ასე შემდეგ. მე კი ვშიშობ, კარელინს არ მობეზრდეს, დიახ, არ მობეზრდეს თავისი სიძლიერის გამუდმებული მტკიცება, ხალხით გადაჭედილი დარბაზების ოვაციების მოსმენა, ცხვირჩამოშვებული, ძლეული მეტოქეების ხილვა და მისი მისამართით შეთხზული დითირამბების გაუთავებელი მოსმენა. იქნებ ვინმემ იკითხოს, კაცი მუდამ გამარჯვებას ზეიმობს და როგორ შეიძლება ეს ყელში ამოუვიდესო. მაგრამ არც ასეა საქმე. ადამიანს სტიმული სჭირდება, სტიმული, რომელიც მას მომდევნო წარმატებებისკენ და მიღწევებისკენ უბიძგებს და თუ იგი იკარგება, ხშირად ყოველივეც კარგავს აზრს. არადა, ხომ გაისმა უკვე კარელინისგან: სპორტში დიდხანს აღარ დავრჩებიო. არა, მას პირდაპირ არ უთქვამს, რომ გამარჯვება უწინდებურ სიხარულს აღარ ანიჭებს, მაგრამ არა მგონია, ამაზე გულში მაინც არ ფიქრობდეს. საუბრისას ეს მის თვალებში და ინტონაციაში იკითხება. უბრალოდ, ეს გოლიათი კაცი მეტად თავმდაბალია საიმისოდ, რომ საჯაროდ თქვას: მე თქვენ ათი თავით გჯობივართ და ჩემამდე ვერასოდეს მოხვალთო. არ ამბობს, მაგრამ ალბათ ფიქრობს. ამიტომაც მეშინია, მსოფლიო სპორტს კიდევ ერთი დიდებული სპორტსმენი და ადამიანი არ მოაკლდეს.



**ალექსანდრ კარელინი**

ეროვნება — რუსი

დაიბადა 1967 წლის 22 სექტემბერს ნოვოსიბირსკში

სიმაღლე 193 სმ. წონა 130 კგ.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული

საყვარელი კერძი: პელმენი

საყვარელი სასმელი: ბურახი

საყვარელი მსახიობი: იური ნიკულინი

საყვარელი ფილმი: „ბრილიანტის ხელი“

ჰობი: ყველაფერი, რაც სიამოვნებას ანიჭებს

ყველაზე დიდი სიხარული: პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი

ყველაზე დიდი ტკივილი: ბავშვობის უახლოესი მეგობრის გარდაცვალება ავტოკატასტროფაში

ოცნება: ახლობლებისა და სამშობლოს კეთილდღეობა

**— თქვენი მრავალრიცხოვანი ტიტულები და მიღწევები რომ ჩამოვთვალოთ, ალბათ ერთი საღამო არ გვეყოფა. საქმეში ოდნავ მაინც ჩახედულმა ადამიანმაც კი იცის, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ამდენი ჯილდო არავის მოუპოვებია, 19 წლიდან არც ერთი დიდი თუ შედარებით უმნიშვნელო ორთაბრძოლა არ წაგიგიათ. არ დაიღალეთ?**

— გამარჯვება, როდესაც არ უნდა მიაღწიო, ყოველთვის სასიხარულოა. ახალგაზრდებს, გამოუცდელებს ხომ ის პირადპირ აღაფრთოვანებს, როგორია, შეძლო შენი უპირატესობის დამტკიცება უძლიერეს ფალავნებთან ჭიდილში, ეს ხომ თვით უკვე ტიტულოვანთ უჭირთ. არ იფიქროთ, რომ მათთვის წარმატების მიღწევა უფრო ადვილია. როდესაც მრავალ შეჯიბრებაში გაგიმარჯვია და დიდი გზაც გაგივლია, მაშინ ყველა, მათ შორის უიმედო აუტსაიდერებიც კი გაათკეცებული ძალით გებრძვიან. ამიტომ, რაც უნდა დაღლილი იყო, ეს არ უნდა შეიმჩნიო. უბრალოდ, დაღლის უფლებაც არ გაქვს, თორემ დიდებიდან დაცემამდე ერთი ნაბიჯია და არავინ დაგინდობს. თანაც დაცემა ბავშვობიდან არ მიყვარს.

**— თქვით, ძლიერებს ყველა გაათკეცებული ენერგიით ერკინებაო. მე კი სხვა აზრიც მსმენია: თითქოს თქვენთან მეტოქეები ჯერ კიდევ ბრძოლამდე მარცხდებოდნენ, ის კი, ვინც თქვენს ავტორიტეტს ასე თუ ის უძალიანდება, ხალიჩაზე კარელინის დანახვისთანავე მაინც ურიგდება მარცხს.**

— გამაცინეთ... წარმოდგენილი მაქვს, რა კარგად წავიდოდა ჩემი საქმე, ამის იმედად რომ ვყოფილიყავი. ის ფალავნები, რომლებიც თქვენ ახსენეთ, დიდ სიმაღლეებს ალბათ ვერასდროს დაიპყრობენ. შიში ყველა საქმეშია ხელისშემშლელი და სპორტის ისეთ ვაჟკაცურ სახეობაში, როგორიც ჭიდაობაა, მით უმეტეს. ზღვა ყველაფერს ნაპირზე გამორიყავს ხოლმე საბოლოოდ. ასეა ჩვენს საქმეშიც. იგი მშიშრებს ვერ ჰგუობს და ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გასწირავს. მაგრამ ასეთების გარდა სხვებიც ხომ არიან. როგორ უნდა შემეშინებინა მეტ გაფარი, ტერი ფაიერი, რანგელ გეროვსკი და სხვა მრავალი? არა, აქ მარტო ფსიქოლოგიურ ფაქტორზე დაყრდნობა კარგს არაფერს მოიტანს. გამარჯვებისთვის თავდაუზოგავი, თავგადადებული შრომაა საჭირო, თუმცა, ცხადია, ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც აქვს თავისი მნიშვნელობა და ამის უარყოფა არ შემიძლია.

**— გამარჯვება მართლაც ყველა და ყოველთვის გასახარია, მაგრამ მაინც რომელმა წარმატებამ მოგანიჭათ ყველაზე დიდი სიხარული?**

— ჩემმა პირველმა ოლიმპიურმა ოქროს მედალმა, სეულში მოპოვებულმა. ოცი წლის ასაკში ოლიმპიური ჩემპიონობა შესანიშნავია. აღარაფერი მახსოვდა, ისე ვხარობდი ჩემი გამარჯვებით, მაგრამ, საბედნიეროდ, დროულად ვძლიე თავს და მოვახერხე ციდან მიწაზე დაშვება. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან გამარჯვებულმა მალე უნდა დააღწიოს თავი ეიფორიას. ვინც ამას ვერ შეძლებს, მერე ძალიან მალე დამარცხდება.

**— თქვენს ხანგრძლივ კარიერაში, მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობებზე, ოლიმპიურ თამაშებზე, სად გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?**

— ყველაზე მეტად ვარჯიშებზე მიჭირდა, თუმცა საწვრთნელ პროცესს არასერიოზულად არასდროს მოვკიდებივარ და საქმე არ მიმიფუჩეჩებია. შეჯიბრებებზე კი სრულიად სხვაგვარი გრძნობა მეუფლებოდა: ჩემს წინაშე დასახულია კონკრეტული მიზანი — უნდა დავამარცხო ესა თუ ის მეტოქე. მომავალ ბრძოლებზე არც ვფიქრობდი, მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული, ჩასატარებელი ბრძოლა, დანარჩენი კი მოგვიანებით გამოჩნდება. ისე, თუ მეტოქეებზე ვიტყვით, ამერიკელ მეტ ჩაფარისთან ძალიან გამიჭირდა. ეს ამერიკაში, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ფინალურ ორთაბრძოლაში მოხდა. გაფარი კარიერას ამთავრებდა და ეს გამარჯვება მისთვის ჩინებული ბოლო აკორდი იქნებოდა. თანაც იგი მეტად გამოცდილი, ტექნიკური და ფიზიკურად ძლიერი გახლდათ. კარგად მქონდა შესწავლილი მისი ჭიდაობის სტილი და ამან გარკვეულწილად გამიადვილა ამოცანა, მაგრამ ბრძოლა მაინც ძალიან გამიჭირდა. საქმე დამატებით დრომდეც კი მივიდა. საბოლოოდ, მინიმალური ანგარიშით მოვიგე. გაფარი კი ნამდვილი სპორტსმენი იყო. მოვიდა და გულღიად მომილოცა გამარჯვება, თუმცა ვიცოდი, რა ხდებოდა მის გულში. ვიცოდი და რაღაცნაირად მეცოდებოდა კიდეც. სიმართლეს გეტყვით, მიუხედავად ყველაფრისა, წამიერადაც კი არ მიყოყმანია და გამარჯვების მტკიცედ მწამდა. საერთოდ, ხალიჩაზე ყოველთვის გამარჯვების რწმენით გავდივარ ხოლმე და, საბედნიეროდ, ხშირად ვიმარჯვებ კიდეც.

**— წელან ბრძანეთ, გაფარი შემეცოდაო. ხშირად გიჩნდებათ სიბრალულის გრძნობა ხალიჩაზე?**

— არა, რას ამბობთ, არც ასეთი გულჩვილი ვარ. ეს მხოლოდ ბრძოლების შემდეგ ხდებოდა, თორემ ხალიჩაზე ამ გრძნობით გასვლა დიდ ვერაფერ სამსახურს გამიწევდა. მაშინ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. თანაც სიბრალულის გრძნობა ძალიან იშვიათ შემთხვევაში ჩნდება. ეს მეტოქეზეც არის დამოკიდებული, თორემ ზოგი ისეთი ტუტუცია, გინდა სახეში გაულაწუნო.

**— ასეთებიც შეგხვედრიათ?**

— რამდენიც გნებავთ. ამდენი ხანია ვჭიდაობ და ამას როგორ ავცდებოდი.

**— ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— ახალგაზრდობისას რომელიღაც ტურნირზე წილისყრამ მეტოქედ ერთი ირანელი ფალავანი მარგუნა. საკმაოდ კარგად ჭიდაობდა, მაგრამ ძალიან ულირსადაც იქცეოდა. იმდენად ულირსად, რომ ამის მოყოლაც კი არ მინდა. ერთი სული მქონდა, ბრძოლა დამესრულებინა და საკადრისი მიმეზღო. აშკარა უპირატესობით ვჯობნე და როდესაც ხელის ჩამოსართმევად გამოიწია, ამის ღირსად არ ჩავაგდე. სხვა არაფერი მიკადრებია, თუმცა ცდუნება დიდი იყო. ამის გამო მწვრთნელებმა ძალან დამტუქსეს. მერე, რომ დავფიქრდი, ასეთი რამ მართლაც არ მეკადრებოდა.

კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, ორი წლის წინანდელს. ერთმა შესაძლო მეტოქემ დიდი ვაიუშველებელი ატეხა, კარელინს სულ ბლეირს ვადენო. ასეთ ხერხს ჭიდაობაში ხშირად მიმართავენ, მაგრამ იმ გამოთქმებსა და ფრაზებს, რომლებითაც ის მამკობდა, ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ძალიან მინდოდა, კენჭისყრას სწორედ მასთან დავეწყვილებინე. ასეც მოხდა. მანამდე ერთმანეთს არასდროს შევხვედროდით. დაიწყო თუ არა ბრძოლა, მაშინვე მივხვდი, რომ ოსტატობით ბევრს არაფერს წარმოადგენდა. შემეძლო, მალევე მომეღო ბოლო, მაგრამ მისი გამასხარავება გადავწყვიტე: შეგნებულად ვაჭიანურებდი დროს, თუმცა დანდობით არ ვინდობდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ისეთ დღეში ჩავაგდე, ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა შერკინება. შემდეგ მისთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თანაც, დარბაზმაც სტვენით აიკლო. მოკლედ, დიდი უპირატესობით გავიმარჯვე. ბრძოლის შემდეგ სირცხვილით თვალებში ველარ მიყურებდა.

**— თქვენი აზრით, დიდად შეიცვალა ჭიდაობა, ვთქვათ, ათი წლის წინანდელთან შედარებით? თქვენ ხომ სწორედ მაშინ გადადგით პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში.**

— ცვლილებები აშკარაა. ცხოვრება ვითარდება. ეს სპორტს და, ბუნებრივია, ჭიდაობასაც შეეხო. ის, რაც ადრე იყო საკმარისი გასამარჯვებლად, ახლა ძალიან ცოტაა. უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ მომზადებას, ცალკეულ ფალავნებს თუ გუნდებს ფსიქოლოგებიც კი ჰყავთ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს აუცილებელ ატრიბუტადაც ითვლება. ერთი სიტყვით, მაღალი მიზნების მისაღწევად სულ უფრო მეტი შრომაა აუცილებელი.

**— ჭიდაობის სექციაში ვინ მიგიყვანათ?**

— ვინმეს დიდი აგიტაცია არ გაუწევია. ეს სახეობა ყოველთვის მომწონდა და გადაწყვეტილებაც თავად მივიღე. მაშინ მხოლოდ 13 წლისა, მაგრამ საკმაოდ დამოუკიდებელი ვიყავი.

**— მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეთ?**

— რამდენადაც მახსოვს, არცთუ ურიგო და ამან კიდევ უფრო გამათამამა. გამათამამა კარგი გაგებით, თორემ არასდროს გავლიდგულებულვარ. ჯერ კიდევ პატარა გამოვირჩეოდი თანატოლებისგან ფიზიკური ძალით. ალბათ ამანაც მოახდინა მწვრთნელებზე შთაბეჭდილება. თანატოლებს კი არა, ხშირად ორი-სამი წლით უფროსებსაც გავმკლავებივარ.



მტერი ჩავარდა „ციმბირელი დათვის“, ალექსანდრ კარელინის ხელში

**— ჩხუბისთავი იყავით?**

— არასდროს, მაგრამ თავსაც არავის დავაჩაგვრინებდი. თავის მოსაწონებლად არ ვამბობ, მაგრამ ვერც სხვების უსამართლოდ ჩაგვრას ვიტანდი და ამის გამო ათასგვარ ხათაბალაშიც მოვხვედრილვარ.

**— ამბობენ, დაბადებისთანავე, მაშინვე სურდათ თქვენი შეტანა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე მძიმე ახალშობილისა, მაგრამ რომელიღაც ამერიკელს უჯობნიაო.**

— არ ვიცი, ციმბირში უფრო მძიმე ბავშვები იბადებიან თუ ამერიკაში. ვერც გინესის რეკორდების წიგნის შესახებ გეტყვით რამეს, მაგრამ მართლაც უზომოდ დიდი დავიბადე. დაახლოებით 6 კილოს ვიწონიდი.

**— არც ახლა გამოიყურებით სუსტად. თუ მომხდარა ისე, რომ თქვენი ფიზიკური ძალის „ბოროტად გამოყენებამ“ მოგიწიათ? მოკლედ რომ ვთქვა, ვინმე თუ გიცემიათ?**

— სწორედ იმიტომ არის კარგი ჭიდაობა, რომ იგი მოჭიდავეთ სუსტებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას აჩვევს. საერთოდ, კონფლიქტურ სიტუაციებში იშვიათად ვხვდები და მსგავსი ხერხების გამოყენებაც არ მჭირდება. ალბათ იმიტომ, რომ არც მე ვარ კონფლიქტური ადამიანი.

**— როგორი დამოკიდებულება აქვს „ციმბირულ დათვს“ თავის გულშემატკივრებთან?**

— საუკეთესო. ძალიან ხშირად ვხვდები მათ, ვესაუბრები, მადლობას ვუხდი. იმ გამარჯვებებში, რომლებიც მომიპოვებია, გულშემატკივრებს ძალიან დიდი წვლილიცაა. მეც ყოველ გამარჯვებას სწორედ მათ ვუძღვნი.

**— თქვენზე ამბობენ, ბუნებით საკმაოდ მხიარული ადამიანიაო.**

— ეს ალბათ თქვენც უნდა შეგემჩნიათ ჩვენი საუბრისას. რატომ არ უნდა ვიყო მხიარული? განა დაღონებული და სახედამჯავებული ადამიანის ხილვა ვინმეს სიამოვნებას გვრის? მაშინაც კი, როდესაც საქმე არცთუ სახალისოდ მაქვს, ვცდილობ, არ შევიმჩნიო, ვიხუმრო, ვიცინო, სხვებიც გავაცინო და ყველაფერი ეს ძალიან მეხმარება კრიტიკულ სიტუაციებში.

**— ვიცი, რომ კინომსახიობის კარიერის დაწყებაც შეგეძლოთ. ამის შესახებაც მოგვიყევით რამე.**

— ეს ესპანეთში მოხდა, კერძოდ, ბარსელონის ოლიმპიადაზე. ოქროს მედალი რამდენიმე საათის მოპოვებული მქონდა და გამარჯვებას ვზეიმობდი, როდესაც ბიჭებმა მითხრეს, ამერიკელი კინოპროდიუსერები მოვიდნენ და შენი ნახვა სურთო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ, ცხადია, მაინც გავეგებე. როგორც წესია, მომესალმნენ, გამარჯვება მომილოცეს და შემდეგ ჰოლივუდში წასვლა და იქ ფილმში გადაღება შემომთავაზეს. გაოცებულმა რომ ვიკითხე, რა ფილმია-მეთქი, ამიხსნეს, აგენტი 007 მობეზრდა და ახალი სერიალის გადაღებას ვაპირებთო. მათი აზრით, ჯეიმს ბონდის როლი სწორედ მე უნდა შემესრულებინა. ახლა არ მახსოვს, მაგრამ მითხრეს, თუ სინჯები ნორმალურად ჩაივლის, ბლომად ფულს მიიღებო და თანხაც დამისახელეს. მართლაც სოლიდური ციფრი იყო. გამეცინა. კი მაგრამ, მე ხომ რუსი ვარ, როგორ შემიძლია მონაწილეობა მივიღო ჩემი სამშობლოს საწინააღმდეგო ფილმში-მეთქი. ამერიკელები ამისთვის მზად იყვნენ. მათ უმალ „გაიზიარეს“ ჩემი მოსაზრება და მაშინვე სხვა ფილმში შემომთავაზეს მონაწილეობა, მაგრამ მაინც უარი მიიღეს. მე ხომ მსახიობი არა ვარ. მოჭიდავე გახლავართ და უმჯობესია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ასე რომ, მოლაპარაკება ჩაიშალა და ჩემგან კინოვარსკვლავი არ დადგა.

**— ბოლოს იმ როლზე ვინ შეარჩიეს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ როგორც გავიგე, ჩემი ყოფილი მეტოქე, ერთი კანადელი ფალავანი. მისი გვარი არ მახსოვს. დიდი წარმატებებისთვის ხალიჩაზე არ მიუღწევია და იქნებ კინოში მაინც ივარგოს.

**— მეტოქეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— უმეტესობასთან ნორმალური, ზოგთან კი მეგობრულიც კი. ამ მხრივ პრობლემები არ მაქვს.

**— როგორ რეაგირებთ გულშემატკივართა და ჟურნალისტთა მიერ შერქმეულ მეტსახელებზე: ციმბირული დათვი, კინგ-კონგი და სხვანი?**

— რაც უნდათ, ის მიწოდონ. დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, ჩემი საქმე ვაკეთო კარგად, ისინი კი მაქსიმალურად ობიექტურნი იყვნენ.

**— მაპატიეთ, მაგრამ ზოგიერთი ფიქრობს, რომ სპორტსმენთათვის და განსაკუთრებით მოჭიდავეებისთვის დიდი ჭკუა არ არის საჭირო. როგორც ამბობენ, ღონე თუა, ჭკუა რა საჭიროაო. მაგრამ ასეთებიც კი აღიარებენ, რომ თქვენ სრულიად განსხვავებული ინტელექტის მქონე ადამიანი ხართ. საიდან მოგდევთ ასეთი სიყვარული კლასიკური ლიტერატურის, საოპერო ხელოვნებისა და ფერწერისადმი?**

— ზოგის ასეთი ფიქრი უაზრობაა. ჯერ ერთი, ჭიდაობას ნაკლები ტვინი არ სჭირდება, ვიდრე, ვთქვათ, ფეხბურთს, კალათბურთს ან სხვა ნებისმიერ საქმეს. ძალიან ცდება ის, ვინც თვლის, რომ მხოლოდ უხეში ძალის წყალობით არის შესაძლებელი ფონს გასვლა. რაც შემეხება მე, ისე ვარ აღზრდილი, რომ მუსიკა და ლიტერატურა აუცილებელ მოთხოვნილებად მექცა. თავისუფალ დროს საათობით ვკითხულობ, ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ეს ჩემთვის დასვენების საუკეთესო საშუალებაა.

**— თქვენი საყვარელი მწერლები და კომპოზიტორები...**

— ძალიან მიყვარს რუსული კლასიკა: პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენევი... თანამედროვე პროზასა და პოეზიასაც ვეცნობი შეძლებისდაგვარად. კომპოზიტორთაგან კი ყველაზე მეტად ბახი მომწონს. ის დიდებულია.

**— რატომ შეიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი? თქვენ ხომ ნოვოსიბირსკიდან მოსკოვში გადმოხვედით. აქ მომზადებისთვის უკეთესი პირობები გაქვთ?**

— არა. ეს არაფერ შუაშია. ადრე ნოვოსიბირსკში ვცხოვრობდი, იქვე ვემზადებოდი და მადლობა ღმერთს, ყველაფერი წესრიგში მქონდა. უბრალოდ, მას შემდეგ, რაც მუშაობა დედაქალაქში დავიწყე, სხვაგვარად ველარ ხერხდება და ჩემი არჩევანიც ამან განაპირობა.

**— სად საქმიანობთ?**

— მოსკოვის ოლქის საბაჟოში. მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო, მაგრამ რთული სამსახურია. ამ სამუშაოს და სპორტულ კარიერას გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვუთავსებ ერთმანეთს.

**— მშობლიური ქალაქი არ გენატრებათ?**

— მონატრება ის სიტყვა არ არის, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი არ ეწყობა ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

**იური ციბანიოვი მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# ალარც ექსპრესი...

დასაწყისი პირველ გვერდზე

საწყის ათ წუთში „ექსპრესის“ აქტიურობის შემყურეთ არც გვიფიქრია, რომ მეორეადგილოსანი დათმობდა მატჩს. უკვე მე-8 წუთზე თანაგუნდელები კვინიხიძემ დააწინაურა ჯარიმით. ექსპრესელებმა ამის მეტი აღსანიშნავი ტაიმის ბოლომდე ვეზუსტად ვერ გარდასახა. სტუმრებს გამოცოცხლება ტაიმის მიწურულსღა დაეტყოთ და შედეგმაც არ დააყოვნა. 19:8 — ასე წავიდნენ მეტოქენი შესვენებაზე.

შეხვედრის განახლებისთანავე კვინიხიძემ ჯარიმით კიდევ უფრო შეამცირა სხვაობა ანგარიშში. გულშემატკივარსაც იმედი მიეცა, რომ მათი საყვარელი გუნდი შემ-



ასკ — ექსპრესი. არმიელებმა იბრძოლეს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს

ბადრი ქართველის ფოტო

რაფერი გააკეთეს. ამის საშუალება მათ მეტოქემ არ მისცა. არმიელებმა კვლავ კომბინებში დაჩაგრეს შესუსტებული მოწინააღმდეგე მაგრამ ამით სულაც არ გაინელდა მათი ნაღვაწი დაგაფინიში. კვინიხიძის ჯარიმიდან ოთხ წუთში არმიელებმა შესანიშნავი შეტევა განახორციელეს, რომელიც აბრამიშვილის ლელოთი დაგვირგვინდა. ამის შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მოწინააღმდეგემაც ფიზიკურ შემთხვევებს დაუწყო... მე-20 წუთზე აბრამიშვილმა მეორე ლელო მოიტანა. ...

25-ე წუთზე არმიელებს 19:3 მოპყდათ ... ვინმესნ ...

ლებდა მატჩის თავის სასიკეთოდ შემობრუნებას, მაგრამ პირიქით კი მოხდა — ორ წუთში მასპინძლებმა ორი ლელო გაუტანეს მეტოქეს და ფაქტობრივად გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი.

პირველი ტაიმის მსგავსად სტუმრები მეორე ტაიმის ბოლოსაც გააქტიურდნენ და ორი ლელოც გაიტანეს, მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. ...

ასეთ თუ ისე, ასკ-მ ღირსეული გამარჯვება მოიპოვა და ასეთი თამაშით კიდევ ბევრს გაამწარებს. ...

ბაატა თოთაძე

## დათვები ყოჩებს ბათუმში ელიან

გუმბარი 14:26 დათვები

გუმარი: 2 ლ — მათიაშვილი; ბუგაიანიშვილი

2 გ — ჟიშმელაძე

დათვები: 2 ლ — შარვაშიძე; 2 გ — ძაგნიძე; 3 ს — ძაგნიძე; 1 ა — ძაგნიძე.

როგორც იქნა, მორაგბეთა ჩემპიონატის აწეწილ-გაწეწილი ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და გუმის საუკეთესო ექსეულმა მეორე ეტაპი დაიწყო.

ბათუმელი მორაგბეები ერთობ სამთამოკლებულნი „გუმარს“ ...

გუშინ ვაკის სტადიონზე შეერბილ ... დათვები ... ბათუმში ... ხელშეკრულება ...

...

ირაკლი თამაძე



ვლადიმერ სტეფანია

# სტეფანია თამაშობს, ბოისა მარჯიშობს



ვლადიმერ ბოისა

ვერა და ვერ მორიგებულან ნბა-ს თავკაცები და მოთამაშეები, ვედარ გაუგიათ ძის სემის მწვანე დოლარები. ... „სოტლ სუპერსონიქსის“ ... სტეფანიას ... „ოლიმპიას“ ...

... „ოლიმპიის“ ...

სოსო კოტორეიშვილი

# ააფრინე ალალიო...

ეგრეა, რაც არ არის, არ არის. ალბათ მიხედით, ლაპარაკია ათასჯერ თქმულზე, ყველასთვის კარგად ცნობილ და ჩვენთვის მინაურ თემაზე.

უცულობაა, მაშ სხვა რაა მიზეზი, ქართული კალათბურთის ... „დინამო“ ...



ვალერი კილაძე



ვლადიმერ ბეჟანიშვილი

... ვალერი კილაძე „დინამოსთვის“ ...

... „ურალ-გრეიტი“ ...

რაც შეეხება „ურალ-გრეიტს“, ეს რუსული სუპერლიგის საშუალო დონის გუნდია ...

გიორგი ბიკაშვილი

# თსუ ბრძოლასა და სამეულზე ფიქრობს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი საქართველოს შიდა ერთ-ერთ ჩემპიონატისთვის ... 

— შემადგენლობაზე რას გვეტყვით?

— გუნდის ბირთვი ძირითადად გამოცდილია ...

— წლევანდელი ჩემპიონატი განსხვავებული სისტემით ჩატარდება...

— მსჯობა ჩვენში გადაუჭრელი პრობლემაა. როგორ ფიქრობთ, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია?

— დაბოლოს, რა მიზნებს ისახავს თსუ მე-8 ჩემპიონატზე?

— ...

ზურაბ გონაშვილი

# ლოკაუტი: ისევ ყაყანი...

NBA-ში უსაშველოდ გაწელილი ლოკაუტის დასრულება არაა და არ დაადგა საშველი. ...

„ჩვენ რამდენადაც შევეძლო, მივუწყდებით მოთამაშეებს ...“

...

## ძია კარლი მილუოკიში

1 იქნებოდა გამოცხადებული ლოკაუტში ასოციაციის მოძალეის სეზონისთვის ...

... „სოტლ სუპერსონიქსის“ ...

... 1996 ... NBA-ში ...

ირაკლი ფირუზიშვილი

# ასეთ მძლეოსანს სამყარო ალბათ ვეღარ იხილავს

### პირველი ნაბიჯები

ფლორენსი 1959 წელს ლოს ანჯელესის გარეუბან უატსში დაიბადა. თერთმეტ დაძმას შორის მეშვიდე სისხარტით ბავშობიდანვე გამოირჩეოდა. თინეიჯერულ წლებში ცნობილი შუგარ რეი რობინსონის მიერ დაარსებულ ათლეტთა კლუბში დადიოდა და ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდათაც თვლიდნენ, მაგრამ მოულოდნელად წამოჭრილმა ფინანსურმა პრობლემებმა იძულებული გახადა, საყვარელ საქმეს ჩამოშორებოდა და სარჩოს მოსაპოვებლად სხვა სამუშაოებზე ეცადა ბედი.

სპორტული საზოგადოება ალბათ ვერც ვერასოდეს იხილავდა განუმეორებელ ჯოინერს, რომ არა პროფესიონალი მწვრთნელი ბობ კერსი, ვისაც ამომავალი ვარსკვლავის მონაცემები მხედველობიდან არ გამორჩენია და UCLA-ს უნივერსიტეტის სპორტულ სექციაში მიიწვია.

საყოველთაო აღიარება მაშინვე როდი ეწვია მორბენალს. იგი თავდაპირველად მეტად ზერელედ ეკიდებოდა ვარჯიშებს და ყურადღების მიქცევას ძირითადად საუკეთესო დროის ჩვენებით კი არა, გამომწვევ ფერებში შეღებილი 15-სანტიმეტრიანი ფრჩხილებითა და მყვირალა ფერებში გაწყობილი კომბინიზონებით ცდილობდა. 1984 წელს საბჭოური ბლოკის მიერ უგულებელყოფილ ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე მან 200 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლის მოგებაც მოახერხა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის, რისი პოტენციალიც უეჭველად გააჩნდა.

### გამონათება

რაიმე საგანგებოდ გამოსარჩევი წარმატება არც მომდევნო ორ წელიწადში მოსვლია გრიფიტს, მაგრამ სპორტსმენის ცხოვრებაში მოხდა მოვლენა, რამაც მასში დიდი მიზნებისთვის ბრძოლის ცხოველი ინტერესი გააღვიძა და დასაბამი დაუდო მის ტრიუმფალურ სვლას დიდების მწვერვალზე. ფლორენსი ცოლად გაჰყვა 1984 წლის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანს, სამხტომელ ელ ჯოინერს.

მეუღლის დაჟინებული თხოვნით, მორბენალმა სერიოზული ვარჯიში განაახლა. კონსულტაციების სახით იმ დროისთვის პლანეტის უსწრაფეს სპრინტერებად მიჩნეულ კანადელი ბენ ჯონსონისა და ამერიკელი კარლ ლიუისის რჩევებს იყენებდა.

ჯოინერი მთელი დღეების განმავლობაში გაუთავებლად ატრიალებდა ვიდეოფირს, რომელზეც აღნიშნული მორბენლების გამოსვლები იყო ჩაწერილი. შედეგი? შედეგმა არ დააყოვნა. მშვენიერი ქალბატონის საოცრად ელასტიურ ტანში ჯონსონის სიმძლავრისა და ლუისის თავისუფალი რბენის სტილის შეზავებამ ვულკანივით ამოფეთქა და ჯოინერმაც უკანმოუხედავად შეტოპა თვალისმომჭრელი გამარჯვებებითა და მაცდუნებელი ფულადი ჯილდოებით აღსავსე მორევში.




ათი წლის წინ, სეულში: ფლორენსს 100 მეტრზე გამარჯვებას მეუღლე ელი ულოცავს

### დიდების მწვერვალი

ცნობილი ფრჩხილების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ვარსკვლავი ქალის პოპულარობაც. სპორტულ წრეებში „ფლოჯოდ" წოდებულმა ჯოინერმა შოუბიზნესში გაჭრაც შეძლო და იქამდე ერთგვარად ჩამკვდარ ქალთა მძლეოსნობაში ახალი, მომხიბვლელი სხივებით მოელვარე შარმი შეიტანა.

დაგროვილი ლავის ამოფრქვევა სეულის 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა, სადაც ბენ ჯონსონის ცნობილი დოპინგ სკანდალის შემდეგ უპირველეს და თითქმის ერთადერთ სალაპარაკო თემად ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი იყო ქცეული.

აზიაში მორბენალმა თავისი მომხიბვლელობის და ექსტრავაგანტური გარეგნულობის გარდა გამაოგნებელი სიჩქარითაც მოახდინა ფურორი. მართალია, მან 100 მეტრზე რბენაში ორიოდ თვით ადრე წინასაოლიმპიადო მზადებისას ნაჩვენები მსოფლიოში საუკეთესო დრო 10,49 წამი ვეღარ გააუმჯობესა, მაგრამ ეს არც იყო იმდენად მნიშვნელოვანი. მთავარი ჯოინერის თავმომწონე რბენა გახლდათ. გარბენები, რომლებსაც ჯოინერი აუღელვებლად, ღიმილნარევი სახით იგებდა. თითქოს ამბობდა, შემომხედეთ, ამერიკელი ეველინ ეშფორდის მიერ ოთხი წლის წინ დამყარებული რეკორდი (10,79 წამი) ჩემთვის არაფერია, პლანეტის უსწრაფესი ქალი სწორედ მე ვარო.

ფლორენსის საფირმო დისტანციაზე — 200 მეტრზე რბენის ხილვა კი მართლაც ერთ რამედ ღირდა. მან მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ერთ დღეში ორჯერ (!) შეძლო და ეს მაჩვენებელი თითქმის წარმოუდგენელ 21,34 წამამდე აიყვანა.

ჯერ იყო და ნახევარფინალური გარბენი 21,56 წამით მოიგო, ხოლო დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამართულ ფინალში ლეგენდარული გერმანელი სპრინტერების მარიტა კოხისა და ჰაიკე დრექსლერის მსოფლიო რეკორდი (21,71 წამი) მთელი 0,37-ით გააუმჯობესა და ისეთი დრო აჩვენა, რომლის გამეორებაზე ფიქრსაც აგერ უკვე ათი წელიწადია, ვერც ერთი სპორტსმენი ვერ ბედავს.

ბუნებრივია, იგივე ითქმის 100 მეტრ დისტანციაზე დამყარებულ რეკორდზეც (10,49). ეს დრო ათი წლის წინ კი არა, წელსაც მსოფლიოს ბევრი უძლიერესი სპრინტერი მამაკაცისთვისაა მიუწვდომელი და ქალებმა რომ ვერ გააუმჯობესონ, რაღა გასაკვირია.

მოკლედ, ჯოინერმა სეულში მოგებულ სამ ოქროს (100 და 200 მეტრიანი დისტანციების გარდა მან 4X100 მეტრზე თარჯრბენის ოქროც დაიბევა) ერთი ვერცხლიც მიამატა და ოლიმპიადა სრული ტრიუმფატორის როლში დატოვა.

ამ თავბრუდამხვევმა წარმატებამ მორბენალს უძლეველი ვუნდერკინდის იმიჯი შეუქმნა. სპორტსმენიც აქეთ-იქით იძლეოდა ინტერვიუებს და ქომაგებს აიმედებდა, 1992 წელს ბარსელონაში ჩემი საფირმო დისტანციების გარდა 400 მეტრზეც ვირბენ, მარათონსაც დავაჭაშნიკებ და ყველგან ოქროსთვის ვიბრძოლებო. თუმცა...

### იდუმალებით მოცული წასვლა

1989 წლის თებერვალში ჯოინერმა თავისი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გააოცა სპორტული სამყარო. სწორედ მაშინ, როდესაც მძლეოსნებს ალალბედზე შერჩევის პრინციპით მორიგი დოპინგ-შემოწმება უნდა გაევლოთ, ფლორენსმა აქტიური სარბიელიდან წასვლის შესახებ ამცნო ქომაგთ.

მორბენლის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა მაშინათვე საყოველთაო ეჭვები წარმოშვა. კანადელი ბენ ჯონსონის სკანდალიც ხომ სულ ახალი მომხდარი იყო და კირკიტა ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ. მათ გაუთავებელი ბრალდებებით ხელში შეიკლეს ჯოინერი და ლამის იყო, ყველა სპორტული მიღწევა ცხვირში ამოადინეს.

ხშირად ცოლის დაკუნთული სხეულის გამო წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემა ელ ჯოინერს უხდებოდა.

„ვიცი ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ფლორენსი მამაკაცივით გამოიყურება, მაგრამ ასეთი აზრები მხოლოდ ფსიქიურად არანორმალურებს თუ მოუვათ თავში, რადგან შეუძლებელია, ჩემს ცოლში ულამაზესი ქალის გარდა სხვა რამე ამოიკითხო" — ამ სიტყვებით მოიცილა გაბრაზებულმა ელმა ერთი აბეზარი ჟურნალისტი.

რა თქმა უნდა, გრიფიტ ჯოინერს ქალური მომხიბვლელობა არასდროს აკლდა და თანაც ბენ ჯონსონისგან განსხვავებით მას დოპინგ-ტესტი არც ერთხელ არ ჩაუფლავებია, მაგრამ ეჭვები მისი სპორტული სიწმინდისა და ალალ-მართლობის შესახებ მაინც არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ ფლორენსის რეკორდები ხელშეუხებელია.

### აღსასრული

ორშაბათს ყველაზე საშინელი დღე ელ ჯოინერს და მის პატარა გოგონა მერი რუტს გაუთენდათ. ადგილობრივი დროით 6.54 საათზე მათ საკუთარ ლოგინში უმოძრაოდ მწოლი ფლორნესის სხეული იპოვეს. საბრალო მანდილოსანს გულმა უმტყუნა...

მე-20 საუკუნის მძლეოსნობის დედოფლად შერაცხულ მორბენალის სიკვდილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო საზოგადოებაში. მოყვარულ ათლეტთა საერთაშორისო ფედერაციის IAAF პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო პარიზში საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის მოწყობილ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა და დაღუპულის ახლობლებს მიუსამძიმრა.

ეს ტრაგედია უყურადღებოდ არც ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა დატოვა. იგი ნიუ იორკში გაერთიანებული ერების ასამბლეაზე იმყოფებოდა, მაგრამ დრო გამონახა და დაღუპულის ახლობლების მიმართ თანაგრძნობა ჩვეული სიდარბაისლით გამოხატა.

საკუთარი ემოციების შეკავება არც სხვა გამოჩენილ პირებს უცდიათ. აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენელი ტომ სერბერი: „გრიფიტ ჯოინერის რეკორდებს დამხობა არ უწერია. ყოველ შემთხვევაში, მათკენ გახედვას უახლოესი ათწლეულის მანძილზე ვერავინ გაბედავს. ფლორენსი განუმეორებელი სპორტსმენი იყო, რომლის მსგავს მძლეოსანს ალბათ ველარასოდეს იხილავს სამყარო."

110 მეტრზე თარჯრბენში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, ჯოინერის მეგობარი გრეგ ფოსტერი: „მას გული ადრეც აწუხებდა. ორი წლის წინ შეტევა თვითმფრინავში ყოფნისას მოუვიდა, მაგრამ მაშინ ექიმებმა იყოჩაღეს და სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს. ახლა კი... ფლორენსი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი იყო, ვინც სარბენ ბილიკებზე არა მარტო მყვირალა კოსტიუმებითა და თვალშისაცემი ფრჩხილებით გამოირჩეოდა. მას განუმეორებელი, მომაჯადოებელი მომხიბვლელობა ჰქონდა და საკუთარი საქმეც უზომოდ უყვარდა."

დაღუპულის მეულმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებულმა, საქვეყნოდ ცნობილმა შვიდჭიდელმა ჯეკი ჯოინერ კირსიმ და მისმა მეუღლე ბობმა ყველა საქმე გადადეს და სენტ ლუისიდან დაუყოვნებლივ ჩავიდნენ ლაგუნა ბიჩში.

თანამედროვე მძლეოსნობის ლიდერებმა მარიონ ჯონსმა (ვის მიერ გასულ თვეში 100 მეტრზე რბენაში ნაჩვენები შედეგი 10.65 წმ ყველაზე ახლოს დგას ჯოინერის მსოფლიო რეკორდთან), კრისტიან არონმა, დონოვან ბეილიმ, მორის გრინმა და სხვებმა ასევე მოწიწებით გამოხატეს თავიანთი სინანული მომხდარის გამო.

1995 წელს 200 მეტრზე რბენაში „ფლო ჯოს" მიღწევებზე საუბრისას მაშინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ამერიკელმა გვენ ტორენსმა ასეთი რამ თქვა:

„ჯოინერის მიერ დამყარებულ არც ერთ მსოფლიოს რეკორდს არ ვცნობ. ისინი ჩემთვის არ არსებობენ, რადგან ფლორენსმა ამ შედეგებს არასპორტული გზით მიაღწია. მე მხოლოდ ის მძლეოსანი ქალები მეცოდებიან, მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებას რომ ცდილობენ, მაგრამ არარეალურ, უსინდისოდ დამყარებულ შედეგებს ვერაფერს უხერხებენ და უზომოდ იტანჯებიან."

ტორენსის მიერ შურით ნათქვამი სიტყვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ნათელია — ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის რეკორდებს მართლაც არაერთი სპორტსმენი ეჭიდება, თუმცა არაფერი გამოსდით და ალბათ კიდევ დიდ ხანს მოუწევთ ტანჯვა...

**ირაკლი ხმელიძე**

---

ველორბოლა VUELTA'98

# ხიმენესს ოლანოს იმედი აქვს

**მე-16 ეტაპი. სორიადან ლაგუნა ნეგრა დე ნეილამდე. 143,7 კილომეტრი**

ესპანელი აბრაჰამ ოლანო, რომელსაც მე-6 ეტაპიდან მოყოლებული ყვითელი მაისური არავისთვის დაუთმია, ამჯერად დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და მხოლოდ უდიდესი გამოცდილების ხარჯზე შეძლო ლიდერობის შენარჩუნება.

არადა, „ვუელტას" 1995 წლის გამარჯვებული ფრანგი ლორან ჟალაბერის გაშმაგებული რბოლის შემხედვარე, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მე-16 ეტაპს სწორედ ეს სპორტსმენი მოიგებდა და აქამდე პირველ ადგილზე მყოფ ოლანოს საგრძნობლად შეავიწროვებდა.

პროგნოზი არ გამართლდა. ჟალაბერმა საუცხოოდ ირბოლა, რამდენიმე საშუალედო სპურტის მოგებით შემატებული ექვსი ძვირფასი წამის გარდა მან ბოლო სამ კილომეტრზე განსხვავება კიდევ შვიდი წამით შეამცირა, რითაც დაწინაურებულ ესპანელთან ჩამორჩენა 22 წამამდე დაიყვანა.

თავად ეტაპი კიდევ ერთმა ესპანელმა — ხოსე მარია ხიმენესმა მოიგო, რითაც წლევანდელ ტურზე პირადი გამარჯვებათა რიცხვი ოთხამდე აიყვანა. ამ მრბოლს, რომელიც მთელი დისტანციის მანძილზე პედლებს მარჯვედ ატრიალებდა, უშნოდ ფაფხური არ დაუწყია, მეტოქეთა გადაადგილებას აუღელვებლად აკვირდებოდა და მწვერვალების დარი- [illegible]

[illegible] ალმოჩნდა იმისთვის, რომ საერთო ჩათვლაში მესამე ადგილისთვის მიეღწია და აქამდე თავმომწონედ მყოფი ფერნანდო ესკარტინი ერთი ადგილით ქვემოთ ჩაენაცვლებინა.

— დარწმუნებული ვიყავი, ღირსეულ წინააღმდეგობას ვერავინ გამიწევდა. ერთადერთი, რისიც მეშინოდა, ჩემი თანაგუნდელი ოლანოს მიერ ყვითელი მაისურის დაკარგვა გახლდათ, თუმცა აბრაჰამმა უძნელეს წუთებს ვაჟკაცურად გაუძლო და მეტოქეთ საგრძნობი უპირატესობის დაბევების უფლება არ მისცა. ახლა, მართალია, ესპანეთის ტურის დასრულებამდე მთელი ექვსი ეტაპია დარჩენილი, მაგრამ მჯერა, კვირას მადრიდში საბოლოო გამარჯვებულის როლში სწორედ ოლანო მოგვევლინება — განაცხადა მე-16 ეტაპის მომგებმა ხიმენესმა.

1. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) 3 სთ 28 წთ 12 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +33; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +33.

საერთო ჩათვლა:

1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 68 სთ 05 წთ 04 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +22; 3. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +31; 4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +38; 5. ალექს ცულე (შვეიცარია) +2,12.

**მე-17 ეტაპი. ბურგოსიდან ლეონამდე. 188,5 კილომეტრი**

ეტაპი გერმანელმა მარკუს [illegible] მოიგო. ლიდერობას კი ფინიშის ხაზზე პელოტონთან ერთად მისულმა აბრაამ ოლანომ შეინარჩუნა.

**კახა არჯევანიძე**

---

# ლეგენდარული კარიერა: თარიღები და მიღწევები

სახელი: დელორეზ ფლორენს გრიფიტი, მოგვიანებით გრიფიტ ჯოინერი, მას შემდეგ, რაც 1986 წელს ცოლად გაჰყვა 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიადის გამარჯვებულ სამმხტომელ ელ ჯოინერს.

დაბადების წელი: 1959 წლის 21 დეკემბერი.

იზრდებოდა ლოს ანჯელესის ერთ-ერთ უბან უატსში. მამა ელექტრიკოსი იყო, დედა — მასწავლებელი. 7 წლიდან იყო შუგარ რეი რობინსონის მიერ დაარსებული ახალგაზრდა ათლეტთა კლუბის წევრი.

1983 — ყურადღება მიიქცია მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე რბენაში დაკავებული მეოთხე ადგილით.

1984 — ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე 200 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლის მფლობელი ხდება. უაღრესად პოპულარულია ნაირ-ნაირად შეფერილი 6 დუიმიანი (დაახლოებით 15 სანტიმეტრი) ფრჩხილებისა და მყვირალა ფერებით გაწყობილი ფორმით ასპარეზობის გამო.

1986 — მუშაობს ლოს ანჯელესის ბანკში და ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სილამაზის სალონში, მაგრამ წლის ბოლოს აქტიურ სპორტში დაბრუნებას გადაწყვეტს და სერიოზულად შეუდგება ვარჯიშს.

1987 — მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე რბენაში კვლავ მეორეა.

1988 — აშშ-ში ოლიმპიადისწინა შეჯიბრის მეოთხედფინალურ გარბენში 100 მეტრზე ამყარებს მსოფლიოს ახალ რეკორდს 10.49 წამი. მეორე დღეს ფინალსაც იგებს შედეგით — 10.61 წმ.

მძლეოსანთა სამყაროში სარგებლობს უდიდესი პოპულარობით, ყველგან მოიხსენიებენ მეტსახელით „ფლო-ჯო".

სეულის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე საკვალიფიკაციო გარბენს იგებს შედეგით 10.88 წმ. ფინალში კი მთლად შეუდარებელია — 10.54 წმ.

სეულშივე 200 მეტრ დისტანციაზეც ამყარებს მსოფლიოს რეკორდს — 21.34 წამი. ეს ორივე მსოფლიოს რეკორდი (100 და 200 მეტრზე) დღემდე მიუწვდომელია, მომდევნო 10 წლის მანძილზე ვერავინ შეძლო მათი გაუმჯობესება.

ოლიმპიადაზე სულ სამი ოქროს (100 და 200 მეტრზე რბენასა და 4X100 მეტრზე ესტაფეტებში) და ერთ ვერცხლის მედალს მოიგებს.

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი ასახელებს წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად.

1989 წლის 25 თებერვალი — ოფიციალურად მიდის აქტიური სპორტიდან.

1998 წლის 21 სექტემბერი — გარდაიცვალა კალიფორნიაში, საკუთარ ბინაში, გულის მოულოდნელი შეტევით.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპ., IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29